ლ ა მ პ ა რ ი

# ლამპარი

თ ფ ი ლ ი ს ი

პარასკევი, 21 (4) აპრილი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

„ელვის“ რედაქციის ნამდვილი ამბავი.—ამბოგენ—დაკარგული ხუცესი გაპონი იაკოვესო.—სამხედრო წესების შემოღება სათათბიროში.—მინისტრ-პრეზიდენტის თხოვნა არ შეიწყნარა... კომენდანტმა.

№ 3 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 3

ამ წლის 19 აპრილიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ლ ა მ პ ა რ ი“

**„ლამპარი“** წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., წლის ბოლომდის 4 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

**თფილისში:** რედაქციის კანტორაში—კ. თავართქილაძის სტამბასთან, ელისაბედის ქ. № 17 და პროვინციებში ჩვენს აგენტებთან: **ერევანში**—ა. შუშანიანცი, **გორში**—არჩუაძე, **სამტრედიაში**—როსტომ ბასილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **ფოთში**—ბესარიონ ვაშაკიძე, **ქუთაისში**—ჟურნ.-გაზ. კანტორა „კოლხიდა“, **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **სიღნაღში**—ზაქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ხონში**—ბახტაძის წიგნისმაღაზია „რუსთაველი“, **ოზურგეთში**—მოსე ტუღუში, **ჭიათურაში**—ელდ. მოსეშვილი, **თელავში**—ქეთო ხარაფიშვილისა, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **ჩოხატაურში**—გიორგი ჟღენტი.

**რედაქცია** თხოვს აგენტებს **ყოველ კვირაში ანგარიში გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთების გზავნა მოესპობა.**

**აგენტებს** რედაქცია ნომერს **ორ კაპეიკათ უთმობს.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ“.

**სოფიო მიხეილის ასული შვილებითურთ** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მე-40 დღეზე, 22 აპრილს, დილის ათ საათზე, წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მისი მეუღლის

ესტატე ნიკოლოზის ძის ჩხარტიშვილის

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

ვეტცელის თეატრი

პარასკევს, 21 აპრილს, წარმოდგენილი იქნება **თფილისის სათავად-აზ. გიმნაზიის ღარიბ მოწაფეების სასარგებლოთ**

I

პედაგოგები

კომ. 3 მოქ. თარგმ. დ. ნახუცრიშვილისა

II

მ ა თ ი კ ო

მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა

დასაწყისი $7^{1}/_{2}$ საათზე

ადგილების ფასი: 1 მ. 50 კ.

რეჟისორი **დ. ნახუცრიშვილი**

ადმინისტრატორი **ადამიძე**

## რუსეთის იმპერიის ძირითად კანონების პროექტი

ეს პროექტი, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, შეიცავს ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის ისეთ ბეჯით გადაწყვეტილებას, რომ იგი, ეჭვი არ არის, დღეს თუ ხვალ უმაღლესათ იქმნება დადასტურებული.

საკმაო არის პროექტს გაკვრით გადაავლოთ თვალი, რომ აშკარათ დაინახოთ მთელი მისი ავ-კარგიანობა.

მეოთხე მუხლი პროექტისა პირდაპირ გვაუწყებს: „უზენაესი, თვითმპყრობელი უფლება ეკუთვნის სრულიად რუსეთის იმპერატორს“. ამგვარათ ხელუხლებელი რჩება ძველი რეჟიმის საფუძველი. მაგრამ ოფიციალური და ოფიციოზური პრესსა ირწმუნება, რომ ვინაიდან მოხსენებულ სტრიქონებში გამოტოვებულია სიტყვა „შეუზღუდველი“ (**неограниченный**), ეს იმას ნიშნავს, რომ მეფის თვითმპყრობელობა შეზღუდული იქნება ხალხის წარმომადგენელთაგანო, ე. ი. ვითომ მეოთხე მუხლი აღნიშნავდეს კონსტიტუციონურ მონარქიას. დავიჯეროთ ერთი წუთით რომ ეს აგრეა, რომ შავი თეთრს აღნიშნავს.

კონსტიტუციონურ-მონარქიის ძირითად კანონებში აუცილებლათ შეტანილია ხოლმე მუხლი, რომლის ძალით მეფის არც ერთ აქტს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, თუ იგი ხელმოწერილი არ არის ერთ-ერთ მინისტრისაგან; მინისტრები კი ყველაფერში პასუხს აგებენ ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და ამ ნაირათ შეზღუდული რჩება მეფის უფლება. არავითარი ამისი მზგავსი მუხლი არ მოიპოვება პროექტში. აქ, სამაგიეროთ, ნათქვამი არის, რომ მინისტრები ყველაფერში პასუხის მგებელნი არიან ხელმწიფის წინაშე (მუხლი 69). ხალხის წარმომადგენელთ შეუძლიანთ შეეკითხონ მინისტრებს, თუ რათ ჩაიდინეს ამათ უკანონო მოქმედება, მაგრამ ესენი პასუხს არ აგებენ ხალხის წარმომადგენელთა წინაშე (მ. 65).

ასე არის „შეზღუდული“ მეფის უფლება.

მეათე მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი: „უფლება მართვა-გამგეობისა, მთელის თავის სივრცით, რუსეთის იმპერიის საზღვრებში ყველგან ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის. უზენაეს მმართველობის საქმეში უფლება ხელმწიფისა (უშუამავლოთ) მოქმედებს“, ხელმწიფეს უფლება აქვს ყოველნაირი ხელშეკრულება დასდოს უცხოეთის სახელმწიფოებთან (მუხ. 12). მას შეუძლიან რუსეთის იმპერია უცხოეთს მიჰყიდოს, ეს ხალხის წარმომადგენელთ არ ეკითხებათ: ამათ არ ეკითხებათ აგრეთვე მეფის ქონებრივის უფლებანი (მ. 17 და 58). მეფეს შეუძლიან ხალხის ქონებიდან იმდენი დახარჯოს თავისა და თავის ოჯახობის საჭიროებაზე, რამდენსაც კი მოისურვებს. ხალხის წარმომადგენელთ არ ეკუთვნით არც საბიუდჯეტო უფლება (მ. 57, 58). მეფის ხელშია სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმე. ერთი სიტყვით, გამოდის რომ რუსეთის იმპერია მეფის კერძო საკუთრება ყოფილა, და იმპერიის მცხოვრებნი კიდევ მეფის ქვეშევრდომნი. ეს, რასაკვირველია, აგრეც უნდა ყოფილიყო.

ადათი და წესია, რომ ქვეშევრდომთ არ მოეპოვებოდეთ მოქალაქობრივი თავისუფლებანი. არც პროექტი ანიჭებს მათ ასეთ თავისუფლებას.

ქვეშევრდომთა უფლება-მოვალეობას განმარტავს პროექტის მეორე თავი. მთელი შინაარსი ამ თავისა გამოიხატება ასე: ქვეშევრდომთ მინიჭებული აქვთ ყველა პირადი, მოქალაქობრივი თავისუფლებანი, უკეთუ მათ ასეთი თავისუფლებანი მინიჭებული აქვთ. ასე რომ ყველაფერი დამოკიდებული რჩება მთავრობის თვითნებობაზე. ასეთია რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონები.

ხალხის წარმომადგენლნი? სახელმწიფო „დუმა“? არც ეს არის პროექტში დავიწყებული. სახელმწიფო დუმას უფლება აქვს აღძრას საკითხი არსებულ კანონების შეცვლისა თუ გაუქმებაზე, აგრეთვე ახალ კანონების გამოცემაზე, მაგრამ დუმა „ვერ შეეხება სახელმწიფოს ძირითად კანონებს, რომელთა გადასინჯვის ინიციატივა ეკუთვნის მათს იმპერატორობით უდიდებულესობას“. (მუხ. 55). დუმის ვერც ერთი საკანონმდებლო აქტი ვერ შევა ძალაში, თუ იგი არ არის მიღებული სახელმწიფო საბჭოსაგან და დამტკიცებული მეფისაგან (მუხ. 39). საბჭოს წევრთა ნახევარი ინიშნება ხელმწიფისაგან; მეორე ნახევარი - როგორც ილით არჩეულია სხვილი კაპიტალისტების, სხვილი მემამულეებისა და სინოდისაგან. უკეთუ ეს ნახევარი საბჭოსი არ ეთანხმება პირველს, ხელმწიფის უქაზით დათხოვნილ იქნება და აირჩევიან ახალი წევრები (მ. 53).

ყველა ამას დაუმატეთ ისიც, რომ სახელმწიფო დუმის მოწვევა და სესიები არ არის კანონით განსაზღვრული; როგორც მოწვევა, ისე დათხოვნა სავსებით დამოკიდებულია ხელმწიფის სურვილზე. ამასთანავე იმ ხანის განმავლობაში, როდესაც შეწყვეტილია სახელმწიფო დუმის მუშაობა, მთავრობა თვითონ აძგენს და სცემს დროებით კანონებს (მ. 40); უმაღლესი მთავრობა ჰმართავს და განაგებს ქვეყანას თავის სურვილებისამებრ,

აი ასეთი გახლავთ ვიტე-დურნოვოს მიერ შემუშავებული პროექტი „კონსტიტუციისა“. კანონის ნაცვლად კვლავ მთავრობის თვითნებობა, ძალადობა, ძალმომრეობა. ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა ბეჯითათ მიდის თავის გზაზე, და იგი ივლის ამ გზაზე, ვიდრე საბოლოოთ არ მოიტეხავს კისერს,

აქ განხილული მთელი ეს პროექტი უშვებელი პროვოკაციაა. იგი რუსეთის იმპერიის ხალხს იწვევს რევოლიუციონური მოქმედებისათვის.

## სოციალისტური სიმპატიები, ნაციონალიზმი და კლასიური ინსტინქტი

პირდაპირ სარგებლობის გარდა, რევოლიუციონურ ეპოხას ის ღირსება აქვს, რომ ყოველ ადამიანს მოქმედებისკენ იწვევს, ყოველ ადამიანისგან მოითხოვს პირდაპირ და ცხადათ ამოირჩიოს თავისი პოზიცია, თავისი ადგილი საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, მშვიდობიანობის დროს კაცს შეუძლია თავისი ნამდვილი მისწრაფებანი, თავისი კლასიური სიმპატიები მიმალოს და საზოგადოებას სხვა სახით ეჩვენოს. რევოლიუცია, როგორც სასტიკი ეკზამენი, გამოაჩენს ყოველ კაცის ნამდვილ ავლა-დიდებას; რევოლიუცია მოითხოვს პირდაპირ პასუხს, პირდაპირ საქმეს, რევოლიუცია ვერ ითმენს ორპირობას. ამნაირათ, რევოლიუციის ერთი ღირსებათაგანი ის არის, რომ ადამიანს, პარტიას, კლასს პირდაპირობას, გულწრფელობას ასწავლის და ამნაირათ აპატიოსნებს.

ამ გამაპატიოსნებელმა თვისებამ რევოლიუციისა ყველაზე მკაფიოთ ჩვენში იჩინა თავი. ჩვენ ქვეყანაში მრავალი პარტიებია დაარსებული. გარდა იმ პარტიებისა, რომლებიც რუსეთშიაც არსებობენ, აქ კიდევ ეროვნებათა სხვა და სხვაობამ დაასვა თავისი ბეჭედი პარტიების განაწილებას. გაჩნდა ქართული სოც.-ფედერალისტების პარტია, ქართულივე დემოკრატიული პარტია, ქართულივე ავტონომისტ-კონსტიტუციონალისტების პარტია; გაჩნდა სომხური პარტიები: დაშნაკცუთიუნი, ჰნჩაკისტები, სომხური სოც.-დემოკრატია და სხ. ამ პარტიების ნამდვილი სახე რევოლიუციის დაწყებამდე გამოურკვეველი იყო. რევოლიუციამ მათ შუქი მიანათა და ქვეყანას აჩვენა.

ავიღოთ მაგალითათ ქართული სოც.-ფედერალისტების პარტია და სომხური დაშნაკცუთიუნი. ორივე აღმოცენდა ეროვნების დაცვის ნიადაგზე, ორივეს ჩასახვის დროს მიზნათ ქონდათ დაეცვათ **მთელი** თავისი **ერი** სხვა ერების შევიწროებისგან. სხვათა შორის, პირველსაც და მეორესაც დასაწყისში აზრათ ქონდათ დაეცვათ ეროვნული **ბურჟუაზია,** ეროვნული **მრეწველობა.** ეს იყო წმინდა ბურჟუაზიული მიზანი, სოციალიზმთან ამას საერთო არა ქონდა-რა. სოც.-დემოკრატიული პარტია ამას პირდაპირ აღიარებდა და ეს საშინლათ აბრაზებდა დასახელებულ ჯგუფებს.

გავიდა დრო, ხალხის მასსა ამოძრავდა, საჭირო გახდა ამ მასსაში გავლენის მოპოება, და აი ორივე დასახელებული პარტიები იღებენ სოციალისტურ პროგრამას—„ესერების“ პროგრამას. თუმც მიიღეს „ესერების“ პროგრამა, მაგრამ თავისი პირვანდელი მიზანი—მთელი **ეროვნების დაცვა**—მაინც მთავარ მიზნათ გაიხადეს: პირველმა—ფედერალიზმი, მეორემ—სომხების ეროვნების დაცვა. სოციალ-დემოკრატებს პოლემიკაში ხშირათ უმტკიცებიათ, სოციალისტურ პროგრამის აღიარება ვერ გასოციალისტებს არა-სოციალისტურ პარტიასო, მაგისთვის საჭიროა თავისი არსება უარყოს. პარტია, რომელიც თავის **მთავარ მიზნათ** მთელ ეროვნების დაცვას სახავს, ვერ გახდება სოციალისტური, ათასი სოსიალისტური პროგრამაც რომ მიიღოს.

ფედერალისტებს და დაშნაკცაკანებს ესე თი სიტყვები აბრაზებდა; ერთიც და მეორეც რევოლიუციის გამწვავების დროს რევოლიუციონურზე უფრო რევოლიუციონურ სიტყვებს სწერდა, სოციალისტურზე უფრო სოციალისტურს.

მაგრამ აი დაიწყო საარჩევნო აგიტაცია. დაიწყო პარტიული „გრუპიროვკა“. მაგვარმა პარტიამ ინსტიქტიურათ მაგვარისაკენ გადიხარა. საარჩევნო აგიტაციის ცენტრში თავიდანვე დგას ორი პარტია: მდაბიო, ღარიბ კლასების შუაში ჩამდგარია სოც.-დემოკრატიული პარტია. შეძლებულ კლასების წარმომადგენელია ბ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვის პარტია, ახლათ მონათლული „რადიკალები“. რამდენიც უნდა თქვან, ბ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი „რადიკალიაო“, მდაბიო კლასების მხარეზეაო, ფაქტი-ფაქტათ რჩება: დაბალ კლასებს სოციალ-დემოკრატების კანდიდატურა სურთ, პრივილეგიანი კლასები (მომეტებულათ ბურჟუაზიული ინტელიგენცია) კი ბ. არღუთინსკის კანდიდატურას უჭერს მხარს. დანარჩენ პარტიებს ამ ორს შუა უნდა აერჩიათ. დაშნაკცაკანებზე აქ არ ღირს ლაპარაკი: მისი სახე დიდი ხანია ყველასათვის გამომზევდა. ყველაზე საინტერესოა ქართველ სოც.-ფედერალისტების რყევა.

რაკი პარტიამ გადასწყვიტა არჩევნებში მონაწილეობას მიეიღებთო, პარტიაში ორმა მიმდინარეობამ დაიწყო ერთმანეთში ბრძოლა. ერთის მხრით, პარტია თავს სოციალისტურს უწოდებდა, მაშასადამე, უნდა სოციალისტურ პარტიისთვის დაეჭირა მხარი არასოციალისტურის წინააღმდეგ. და მართლაც პარტიას აზრათ ქონდა, სოციალ-დემოკრატებთან მოლაპარაკება გაემართა და ერთ დროს ახლოც იყო მისთვის მხარი დაეჭირა. მეორეს მხრით პარტია ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულია, და ეს აახლოვებს მას ყველა ქართულ ბურჟუაზიულ პარტიებთან; და პარტიამ პატრიოტული თვალი გადაავლო ახლათ გამოჩეკილ ქართველ „დემოკრატებს“. მესამე მხრით პარტია, ვითარცა ნაციონალისტური, ბურჟუაზიულია, უმეტესობა პარტიისა პრივილეგიან კლასების წარმომადგენლებისაგან—ინტელიგენციისგან—შესდგება; და პარტიამ გაუღიმა ინტელიგენტურ „რადიკალების“ პარტიას. ამ სამ მიმდინარეობაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული მიმდინარეობა: ფედერალისტები დაუყონებლივ შეუკავშირდენ ქართველ „დემოკრატებს“, დაიწყო ახალი ბრძოლა: ს.-დემოკრატებს დაუკავშირდეს ახალი ფედერალისტების ბლოკი თუ რადიკალებს? სოციალისტურ სიმპატიებს კლასიურმა ინსტინქტმა სძლია და ფედერალისტების ბლოკი შეუკავშირდა ბ. არღუთინსკის პარტიას.

ფედერალისტების რყევაში კიდევ ერთი მხარეა ღირს-აღსანიშნავი. მათ მშვენივრათ იციან, რომ თფილისში სოც.-დემოკრატების დიდი უმრავლესობა ქართველებია, ისე, რომ უფრო მოსალოდნელია, რომ სოც.-დემოკრატების კანდიდატი ტომით ქართველი იყოს, ფედერალისტებს აქ ორს შუა უნდა აერჩიათ: ან ქართველი, მაგრამ მდაბიო კლასების წარმომადგენელი ან ბ. არღუთინსკი, მაგრამ პრივილეგიან კლასის წარმომადგენელი. სოციალდემოკრატების მხარეზე ფედერალისტებს ქწეოდა ორი ძალა: სუბიექტიური სიმპატია სოციალიზმისადმი და ნაციონალიზმი; ბ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისკენ კი ეწეოდა ერთი ობიექტიური ძალა—კლასიური სიახლოვე.

კლასიურმა სიახლოვემ დაამარცხა ორივე ერთათ შეერთებული ძალა: ნაციონალიზმიც და სოციალისტური სიმპატიები.

რევოლიუციამ სასტიკი ეკზამენი გაუკეთა ჩვენ ფედერალისტებს, პირდაპირი, გადაჭრილი პასუხი მოსთხოვა. და ფედერალისტებმა ბევრი ყოყმანის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღეს: თავის კლასს არ უღალატეს სხვაგან ნასესხებ სოციალიზმმაც და საკუთარი ნაციონალიზმიც.

ამ ჟამათ ჩვენში ნათლათ გამოირკვა პარტიების ორი ერთმანეთის მოპირდაპირე და მთლიანი ჯგუფი: ჩაგრულთა და მშრომელთა, მდაბიო ხალხის პარტია—სოც.-დემოკრატია; ამ პარტიას შეუერთდა მხოლოდ ერთი სხვა—ჰნჩაკისტების პარტია. მეორე, ამის მოპირდაპირე ჯგუფი შეადგინეს თითქმის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა, განურჩევლათ ეროვნებისა. მდაბიო ხალხის დასამარცხებლათ ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა უარყვეს თავისი ყმაწვილური გატაცებანი, თავისი პატრიოტობა. აქამდის მდაბიო ხალხი იყო ინტერნაციონალური, ეხლა კლასიურმა ინსტიქტმა პრივილეგიანი კლასებიც გააკოსმოპოლიტა.

რევოლიუციამ ერთმანეთს შეატაკა შეერთებული სხვადასხვა ერების ბურჟუაზია შეერთებულ სხვადასხვა ერების პროლეტარიატს.

მადლობა რევოლიუციას!

## პოლიტიკური მიმოხილვა

**სამხედრო წესები სათათბიროში.**

მთავრობას რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ საუკეთესო საშვალებათ სამხედრო წესების შემოღება მიაჩნია, და სწორეთ ამიტომ იმპერიის დიდი ნაწილი სამხედრო წესებში ჩააყენა. ახლა მთავრობას, რაკი შესაძლებლათ მიაჩნია, რომ სათათბირო რევოლიუციის ბერკეტათ გადაიქცეს, გადაუწყვეტია ისიც სამხედრო წესებში ჩააყენოს, რომ ასეთი „ბერკეტობა“ ველარ გასწიოს. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ სათათბიროს შენობაში განუწყვეტლივ იდგება გვარდიის ბატალიონი, და დეპეშაც დასძენს, სასტიკ წესებს შემოიღებენ სათათბიროშიო (ჯარი ხანდახან მანევრებსაც კი აკეთებს თურმე სათათბიროზე იერიშის მისატანათ!). ეს წესები შემკული იქნება ყველა თავისი თანმხლები მშვენიერებით და, სხვათა შორის, საპატიო ადგილი ეჭირება ჯაშუშობას. ჯაშუშები ვალდებული არიან იცნობდენ ყველა წევრებს სათათბიროსას და მათ ჯეროვანათ ადევნონ თვალყური. ასე ამნაირათ, თუ მთავრობა „ხეირიანი აზრებით“ ვერ წარუდგება სათათბიროს, როგორც ამას თვით ბიუროკრატები გულისტკენით აღიარებენ (ვერ ვასწრებთ განსაზღვრულ აზრების შემუშავებასო), სამაგიეროთ სამხედრო ძალებით მიეგებება მას! დასაჯერებელია, რომ „აზრების“ შესამუშავებლათ მთავრობამ არც კი შეიწუხა თავი, რადგან სათათბიროს პასუხის გასაცემათ მას ხელთ აქვს აზრებზე გაცილებით უფრო მჭრელი ძალა—სამხედრო ძალა. ან კი მთავრობას სხოვს როდის უბრძოლია აზრებით, (რომლებიც მას ყოველთვის ნაკლებათ მოეძევება), რომ ახლა იბრძოლოს მათი შემწეობით? მას საბრძოლველათ ერთათ-ერთი იარაღი აქვს—**თოფ-ზარბაზნები!**

**კომენდანტმა მინისტრ პრეზიდენტის თხოვნა „არ შეიწყნარა“.**

როგორც ვიცით, მთავრობას სათათბიროს წევრთა უმრავლესობა „კრამოლნიკებათ“ მიაჩნია და უმთავრესათ აი სწორეთ ეს გარემოება უბადებს მას შიშს სათათბიროს წინაშე. და თუ უმაღლესი მთავრობა ამ „კრამოლნიკებს“ სათათბიროში უპირებს სამხედრო წესებით შებოჭვას, მეორე მხრით, ადგილობრივი მთავრობა მათ თავთავის გუბერნიებში არ აძლევს გასაქანს. ადგილობრივი მთავრობა ფიქრობს: იქ, სათათბიროში უმაღლესი მთავრობა ისე დაუხვდეს მის წევრებს, როგორც მას უნდოდეს, ჩემ პატარა სამეფოში კი მე ისე მოვექცევი მათ, როგორც მე მინდაო; ამიტომ, როდესაც გრ. ვიტეს სევასტოპოლის კომენდატისათვის უთხოვნია—ნება მიეცი შენმიერ სევასტოპოლიდან გაძევებულ და შემდეგ სათათბიროს წევრათ არჩეულ ალ. სიპიაგინს შემოვიდეს სევასტოპოლშიო, კომენდანტს არ შეუწყნარებია მინისტრ პრეზიდენტის თხოვნა და უპასუხნია: მე შესაძლებლათ ვერა ვცნობ სიპიაგინის აქ ჩამოსვლასო. აი კიდევ ერთი საუცხოვო მაგალითი იმის,

თუ როგორ, მთავრობის „არეულ მონასტერში“ ძალლი პატრონს ვეღარა ცნობს!

**ოქტომბრისტების ახალი ფრონტი**

კადეტების „ლეფის გვირგვინები“ მოსვენებას არ აძლევს სხვა ბურჟუაზიულ პარტიებს, განსაკუთრებით, ოქტომბრისტებს (17 ოქტომბრის კავშირი უმთავრესად პომეშჩიკებისაგან შესდგება). როგორც ამას წინათაც აღვნიშნეთ, ოქტომბრისტებმა, მეტ მოამბოეთა საშოვნელათ, გადასწყვიტეს სახელის გამოცვლა და პროგრამის გაფართოება. ორივემ მათ ამ შემთხვევაში კადეტებს მიბაძეს, რომლებმაც „სახალხო პარტიის“ სახელი დაირქვეს და პროგრამაც ფართო-დემოკრატიული მიიღეს; ოქტომბრისტების აზრით სწორეთ ასეთმა მიმზიდველმა სახელმა და პროგრამამ მოუხვეჭა კადეტებს არჩევნებში გამარჯვება და, თუ ეს ასეა, სახელის გამოცვლის და პროგრამის გაფართოებისთანა ადვილი რაღა არის? სახელათ მათ როგორც ვიცით, „რუსეთის ლიბერალური პარტია“ დაირქვეს, ხოლო პროგრამაში შემდეგი პუნქტები შეუტანიათ: 1) 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებულ ყველა თავისუფლებათა განხორციელება, 2) სახლებო და საადგილ-მამულო კითხვა (ეს პუნქტი ოქტომბრისტებს ნამეტნავათ საყურადღებოთ მიაჩნიათ) 3) სრული გამოცვლა მთავრობის შედგენილობის, და 4) მინისტრთა პასუხისმგებლობა ხალხის წარმომადგენელთა წინაშე. ამ ნ სტია ოქტომბრისტებისათვის ვითომ თავისთავათ იგულისხმება. ოქტომბრისტები ძალიან ნანობენ, რომ მემარჯვენე პარტიების ბლოკში შევიდნენ, სწორეთ ამან დაგვღუპაო, ამბობენ ისინი, და გადაუწყვეტიათ მიაფურთხონ ამ „საზიზღარ“ ბლოკს და შევიდნენ კადეტების ბლოკში. კადეტებთან ხომ ყოველგვარი ბურჟუაზიული პარტია პოებს ნავთსაყუდელს, და ისინი, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით გადახვევენ ხელს ახალ ძვირფას მოკავშირეებს. რა ვუყოთ, რომ ოქტომბრისტები ცოტა არ იყოს, კონსერვატიული სულით ყარან?! როცა დაჭირდებათ, განა თვით კადეტები კი ითაკილებენ კონსერვატორობას?! ეს-კი, უეჭველია, სულ მალე დაჭირდებათ!

**როგორ რეჟნიან ბურჟუები მუშებს.**

ოქტომბრისტებზე არა ნაკლებ „დისკები“ (კონსტიტუციონალისტთა დემოკრატიული კავშირი) ნანობენ მემარჯვენე პარტიების ბლოკში შესვლას! აბა, რა გვრჯიდა, რას მივეჭარეთ და ისეთ პარტიებს შევუერთდით, რომლებსაც ჩვენს ჭეშმარიტ ლიბერალურ პარტიასთან არაფერი საერთო არ აქვთო, გოდებენ „დისკები“, ჩვენ მათთან შეერთებით მთლათ სახელი გავიფუჭეთ, ვერასოდეს ასეთ სულელურ შეცდომას ჩვენს თავს ვერ ვაპატიებთო. და აი მათ გადაუწყვეტიათ მოინანიონ თავიანთი შეცოდებანი. მათ თავიანთი თავი დამნაშავეთ უცვნიათ, განსაკუთრებით ხალხის წინაშე და, კიდევ უფრო განსაკუთრებით, მუშების წინაშე. და აი ისინიც მუშებისათვის „სამსახურის“ გაწევით ცდილობენ თავიანთი ცოდვის მონანიებას. ისინი აარსებენ მათთვის სასადილოებს, მართავენ ლექციების კითხვას და სხვა და სხვა გვარ გასართობს. ყველა ამით (და კიდევ სახელის გამოცვლით — ამათაც სხვა სახელი დაირქვეს: სახალხო სიმართლის პარტია) დისკებს იმედი აქვთ მუშებში თანაგრძნობას მოიპოვებენ! ან კი რატომაც ვერ მოიპოვებენ? მართალია ისინი ბურჟუაზიულ პარტიას წარმოადგენენ, მაგრამ განა „კადეტების“ პარტიაც ასეთი არ არის, და ამან კი ხომ უკვე მოიპოვა მუშების თანაგრძნობა? ის კი არა და, მოსკოველმა კადეტებმა ისიც კი მოახერხეს, რომ მოსკოვის მუშები თავის ქკუაზე დაეყენებიათ. როგორც რუსეთის გაზეთები გვატყობინებენ, სამწუხაროთ, მართალი უნდა იყოს ის ამბავი, რომ მოსკოვის მუშებს დაუვალებიათ მათ მიერ კადეტების „ნაჩუქარ“ კანდიდატურით არჩეულ დეპუტატმუშისათვის—სოციალდემოკრატიულ პროგრამას მხარს ნუ დაუჭერო. ასე ახერხებენ ბურჟუაზიული პარტიები მუშათა მიმხრობას, მათ გარყვნას და რატომ დისკებიც არ შეეცდებიან ამას, რუსეთის სოციალდემოკრატების ბოიკოტის ტაქტიკა მათ, ამ მხრივ ყოველნაირ სამსახურს უწევს!

# ახალი ამბები

✦ თფილისის საბჭოს ხმოსანს გ. თამამშევს **საყურადღებო განცხადება** შეუტანია საბჭოს განსახილველათ. ამ განცხადებაში გ. თამამშევი ჩივის, ქალაქში დაქანებით გაიძახიან, მეოთხე განყოფილების ერთ-ერთი არქიტექტორი ქრთამებს ითხოვს, მისი მექრთამეობა უკვე დამტკიცებულია, ხსენებულ არქიტექტორს სხვათა შორის ინჟენერ მარგოლისისთვის მოუთხოვია ქრთამათ 1000 მ. გ. თამამშევი უსაყვედურებს გამგეობას ამ საქმის ჩაფუჩეჩებას და გამოძიებას მოითხოვს. შემდეგ გ. თამამშევი მიუთითებს ქალაქის ტეხნიკოსის სტეფანიანცის მოქმედებას, რომელიც თურმე ქალაქის კუთვნილ ასაშენებელ მასალებს ითვისებს. საქმის გამოსარკვევათ თამამშევი მოითხოვს განსაკუთრებულ კომისიის დანიშვნას. ამავე კომისიას უნდა დაევალოს მოსამსახურეთა შტატის რეორგანიზაციის საქმე. თავის განცხადების ბოლოში თამამშევი სწერს, გამგეობამ ახალ-ახალი თანამდებობანი გამოიგონაო. ეს თანამდებობანი იმით არის საყურადღებო, რომ მათ ასასრულებლათ მხოლოდ **ლამაზ ქალებს** ღებულობენო.

✦ როგორც გავიგეთ, თფილისის სასულიერო სემინარიის ზოგიერთ რუს და ბერძენ მოწაფეებს რექტორისთვის განუცხადებიათ, თუ რომ მომავალ წელში სემინარიაში ქართველი მოწაფეებიც დარჩნენ, სწავლას აღარ განვაგრძობთო.

✦ გაზ. „ელვის“ დატუსაღებულ თანამშრომლებთან გუშინ-წინ, 19 აპრილს, მნახველი ნათესავები მივიდნენ. ყველა მნახველებს ნებართვის ბილეთები ქონდა თან; მიუხედავათ ამისა ტუსაღები მაინც არ აჩვენეს მნახველებს.

✦ გუშინ, 20 აპრილს, პასკევიჩის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა სასიკვდილოთ დასჭრა ყოფილი ვაჭართა მოურავი დავიდოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაშივე გარდაიცვალა.

✦ ხვალ, 22 აპრილს, დანიშნულია ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოსამსახურეთა დამხმარე საზოგადოების წევრთა კრება სახელმწიფო სათათბიროში რწმუნებულთა ამოსარჩევათ.

✦ სავაჭრო-სამრეწველო საქმეთა სამინისტროს მმართველი შეეკითხა თფილისის ვაჭრობის კომიტეტს, იქნება თუ არა სასურველი, რომ ვაჭრობა-მრეწველობის დარგში ზოგიერთი რამ ცვლილება მოხდეს, მაგ., ვაჭართა სამმართველოებში, ბირჟათა კომიტეტებში, ვაჭრობა მრეწველობის კომიტეტებში და სხვ. ამასთან სამინისტრომ გამოუგზავნა თფილისის კომიტეტს შემუშავებული პროექტი მომავალი ცვლილებებისა. ამ პროექტის თანახმათ ვაჭრობის სამინისტროს განუზრახავს დაარსოს სამრეწველო პალატები, სადაც შევლენ ვაჭართა და მრეწველთა კლასიდან ამორჩეული ხმოსნები. ამ დღეებში შედგა ვაჭრობის კომიტეტის წევრთა კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქმნა ხსენებული პროექტი. კომიტეტმა ერთხმათ მოიწონა სამინისტროს პროექტი და თავის აზრი კიდევაც შეატყობინა ხსენებულ სამინისტროს ამ საკითხს სახელმწიფო სათათბიროც განიხილავს.

✦ ნახიჩევანიდან (მდ. დონზეა) არქიმანდრიტ მუშებმა სომეხთა ეპისკოპოსს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს აწიოკებულ და უსახლკარო ძმებს—სომხებს, საზიზღრათ იხსენიებს ერმოლაევსა, ფრეილისისა და სხვების სახელს, რომელთა მეთაურობით დატრიალდა შუშაში საშინელი ამბავი.

✦ შაბათს, 15 აპრილს ქუთაისში **სასიკვდილოთ დასჭრეს** რევოლვერით სურმუშელი მღვდელი ანტონ ჩახხიანი. მკვლელი გაიქცა.

✦ ამავე დღეს ქუთაისშივე ყაზახებს **მოუკლავთ** 20 წლის ნოქარი ებრაელი დავით მონაბეროვი.

✦ დღეს, 21 აპრილს, **სათავად-აზნაურო** გიმნაზიის მოწაფეთა სასარგებლოთ ვეტცელის თეატრში ქართული წარმოდგენა გაიმართება. წარმოდგენილი იქნება: „პედაგოგები“ და, „მათიკო“.

✦ ქართლ-კახეთის **სამღვდელოებამ** სახელმწიფო საბჭოს ამრჩევლებათ შემდეგი პირები ამოირჩია: ქვაშვეთის ეკლესიის მღვდელი კალისტრატე ცინცაძე (319 თეთრი კენჭი), მეორე სამისიონერო ეკკლესიის დეკანოზი ს. გოროდცევი (17 თეთრი კენჭი), მღვდლები: ვასილ ხატიშვილი (20), ნ. ხუციშვილი (16), ს. ეფიმოვი (14), პ. ბელოვიდოვი (17), დევიძე (17), ს. ხუნდაძე (17), ნ. პოკროვსკი (7), ანდ. ადამოვი (13), ლუნიცკი (31), კ. პოლიტოვი (20), ი. ხატიევი (16), ჩიჯავაძე (32), ზ. ჯიოევი (11), კ. კირიაკოვი (17) ლ. პოპანდოპულო (11) და ი. ჯაში (10 თეთრი კენჭი) უმეტესობა პროგრესისტებია.

✦ **კომერციულ სასწავლებლის** დირექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ იგი 10 და 11 მაისისთვის უთმობს გამგეობას ხსენებულ სასწავლებლის ზალას —საარჩევნო აგიტაციისათვის.

✦ იარალოვის საქციონერო საზოგადოების მუშებმა 85 კაცმა რწმუნებულათ **სოც.-დემოკრატი** მუშა სადაკაშვილი ამოირჩიეს.

✦ მე-6 საპოლიციო უბნის **ბოქაული გურგენიძე**, როგორც გავიგეთ, სამსახურს თავს ანებებს.

✦ როგორც გავიგეთ, მე-10 საპოლიციო უბნის **ბოქაული ზედგინიძე** ერევნის გუბერნიაში გადაყავთ შახურრო-დარალაგიოს მაზრის უფროსათ.

— 18 აპრილს ღამით, დარიას ქუჩაზე, ავლაბარში, სკარგელიას სახლის მდგმურს გვერქოვს **თავს დაესხა** რამდენიმე შეიარაღებული უცნობი. ფულათ გვერქოვს წაართვეს 1400 მანეთი, სხვა კი ნივთებათ წაიღეს. ჰოლიციელებმა დაიჭირეს მხოლოდ ერთი ქქცეულთაგანი ახვერდოვი, რომელსაც მარტო რევოლვერი აღმოაჩნდა. ფული სხვებმა წაიღეს.

## სათათბიროს არჩევნები

— კვირას, 16 აპრილს, ფარსადანოვის ფეხსაცმელების ქარხანაში მოხდა მუშათა არჩევანი ერთი რწმუნებულის ასარჩევათ. აირჩიეს **ოჰანეზ ბრუდიანცი. (სოციალდემოკრატი)**.

— იმავე დღეს „გერმეს“-ის სტამბაში მოხდა არჩევანი. აირჩიეს ერთი რწმუნებული, მბეჭდავი **გალუსტ შიხიანცი. (სოციალდემოკრატი)**.

— კვირას, 16 აპრილს, თფილისში მოხდა არჩევნები ადელხანოვის ზავოდებში და ტოლლეს საპნის ქარხანაში. ადელხანოვის ნაბდის ქარხანაში აირჩიეს რწმუნებულათ კარაპეტ ავამილიანცი, ჩექმის ქარხანაში—იაგორ ნოზაძე, ტყავის ქარხანაში—მიხეილ შირეევი, ტოლლეს საპნის ქარხანაში—გიორგი რუხაძე. ყველა **სოციალდემოკრატებია**.

— 16 აპრილს, ოზურგეთში მოხდა საგუბერნიო ამრჩევლების ამომრჩეველთა კრება. ყური დაუდგეს ორ კანდიდატს. **ის. რამიშვილს და ქურიძეს**. პირველმა მიიღო 32 თეთრი და 1 შავი, მეორემ 22 თეთრი და 11 შავი. ამ გვარათ ორივე არჩეულ იქმნა. **ორივე სოციალდემოკრატებია**.

16 აპრილს, ქუთაისში მოხდა ქუთაისის მაზრის გლეხთა რწმუნებულების კრება 5 ამრჩეველის ასარჩევათ. სულ 15 კანდიდატები წამოაყენეს: სოციალდემოკრატების, ფედერალისტების და კადეტების. სოციალდემოკრატებმა 5 კანდიდატი წამოაყენეს: **ფარნა ნინუა, გიორგი დუნდუა, კოლა მაჭარაძე: ილიკო კოპალეიშვილი და ლუკა ვაჭარაძე**. კენჭის ყრის შედეგი ასეთია:

ფარნა ნინუამ მიიღო 38 თ. 9 შ. გიორგი დუნდუამ 35 თ. 12 შ. კოლა მაჭარაძემ 35 თ. 12 შ. ილიკო კოპალეიშვილმა 34 თ. 13 შ. ლუკა ვაჭარაძემ 33 თ. 15 შ. ამ გვარათ არჩეულ იქნენ სოციალდემოკრატების ხუთივე კანდიდატი. ფედერალისტ-კადეტების კანდიდატები ჩაფლავდნენ.

## „ელვის“ რედაქციის ნამდვილი ამბავი

ადგილობრივ გაზეთებში აწერილია გაზ. „ელვის“ რედაქციის გაჩხრეკის და მისი თანამშრომლების და რამდენიმე გარეშე პირის დაჭერის ამბავი. სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთმა გაზეთმა ვერაფერი სინამდვილით ვერ აღნიშნეს ეს შემაძრწუნებელი ამბავი. ამიტომ ჭეშმარიტების გამოსარკვევათ მე, როგორც ერთი დამსწრე ამათი იმ საზიზღრობისა, რომელიც იმ დღეს მე შემთხვევით ჩემი თვალებით ვიხილე, იძულებული ვარ მოკლეთ გავაგებინო მკითხველებს, თუ ნამდვილათ როგორ იყო საქმე. დილის 9½ საათი იქნებოდა, როცა რედაქციას თავს დაესხა ბოქაული გურგენიძე რამდენიმე უბნის ზედამხედველებით და გოროდოვოებით. ამ დროს რედაქციაში იყვნენ გაზეთ „ელვის“ თანამშრომლები: ფ. მახარაძე, გ. ქიქოძე, მ. იაშვილი, ლ. ახმეტელაშვილი, თ. კიკვაძე. გარდა ამისა რედაქციის კანტორაში მოსამსახურენი ალ. ლომიძე, ნ. კალაძე, ლანდი და სხვ. გარდა ამისა რედაქციაში სანამ პოლიცია მოვიდოდა, იყვნენ კიდევ რამდენიმე სრულიად გარეშე პირები, რომლებიც რედაქციაში მოსულიყვნენ თავის კერძო საქმეებისათვის, თუ გაზეთის გამოსაწერათ, თუ განცხადების შესატანათ, თუ წერილების დასაბეჭდათ და სხვ. პოლიცია

# ფელეტონი

**სათათბიროს მოწვევა და პოლიტიკური პარტიები *).**

(წერილი ლ. მარტოვისა)

თვით უკიდურესი პესიმისტიც კი ვერ იკისრებს იწინასწარმეტყველოს, თუ რა „უცნაურ“ პირობებში უნდა მოხდეს 27 აპრილს სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა.

ქვეყნის ნახევარი ნაწილი სამხედრო წესებითაა მოცული, დანარჩენ ნაწილებში ზოგან გაძლიერებული და ზოგან საგანგებო დაცვაა გამოცხადებული. ყველა კანონები, ოქტომბრამდის ხმარებული თუ მერმეთ გამოცხადებული, ფაქტიურათ გაუქმებულია მინისტრებისა და გენერალ-გუბერნატორებისაგან. სამხედრო-საველე თუ უბრალო სამხედრო სასამართლოები შინაური მტრების ალაგველ რეგულიარულ აპარატით გადაიქცნენ. აღადგინეს ადმინისტრატიული გადასახლება, რომელიც სიუხვით მოფინეს სამშობლოს და რომელიც პლევეს დროსაც არ მოსწრებია. შემოიღეს „როზგი“, როგორც უსაჭიროესი საშუალება მასსის „დასაწყნარებლათ“. ეს კიდევ ცოტაა: აღდგენილ იქნა წამება, როგორც საფუძვლიანი საშუალება პოლიტიკური საქმეების გამოძიების დროს; წვავენ და არბევენ ქალაქებსა და სოფლებს, რომ ძალა დაატანონ მცხოვრებლებს „მეთაურების“ გასაცემათ. სატუსაღოებში ტევა აღარ არის: ცხადათ ჩანს მთავრობის ტენდენცია—რაც შეიძლება კლიტეებს მიგნით მოამწყვდიოს ცოტათ თუ ბევრათ გამორკვეული ოპოზიცია. სათათბიროს მოსალოდნელ წევრებს ან ციხეში სვამენ ან შორეულ ქვეყნებსაკენ ერეკებიან; იმათ ამომრჩევლები და ხმის მქონებლებიც მიყვებიან უკან. პრესა დაჩაგრულია უთვალავი პროცესებით, რომლებიც „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების“ დროებით წესებზე არის დამყარებული, ან კიდევ სხვა და სხვა გვარი რეპრესიებით, რომლებიც არავითარ კანონზედ არ არის დაფუძნებული. მეტადრე საარჩევნო კამპანიის დროს უსასტიკესი ზომებია მიღებული ბეჭდვითი სიტყვის „ასალაგმათ“. უმეტესი ნაწილი პოლიტიკურის თუ სხვა კავშირებისა დახურულია. ესეც ცოტაა: გაზეთებმა უკვე აღნიშნეს ის ფაქტი, რომ საშინლათ დაუსჯიათ ამომრჩევლები მხოლოდ იმიტომ, რომ მათ... უსარგებლნიათ 11 ოქტომბრის კანონით მინიჭებული უფლებებით. სოფ. სტანისლავსკაიაში ადმინისტრაციამ გაროზგა გლეხები, რადგანაც იმათ ამ კანონის ძალით ხელმეორეთ აირჩიეს სამამასახლისო ყრილობის წევრები. „კონსტიტუციონურ“ მთავრობის ხერსონელი აგენტების ასეთი დიდებული მოქმედება ნათლათ გვიხატავს, თუ რა პოლიტიკას ადგია მთავრობა სათათბიროს მოწვევის შესახებ. ამნაირათ სათათბიროს მოწვევა თვალსაჩინოთ აქარწყლებს იმ უკანასკნელ იდეუზას, ვითომ შესაძლებელი იყოს თვითმპყრობელობის „უსატკივრო“ გადასვლა კონსტიტუციონალიზმისაკენ. ამ მხრით ვიტეს საარჩევნო კაბინეტი ყოველივე აგიტაციაზედ უფრო კარგათ უხსნის რევოლიუციონურ მცხოვრებს, თუ რა ხასიათი აქვს იმ პროცესს, რომლის დროსაც სახელმწიფოს ერთი ფორმა მეორე ფორმით იცვლება. ამასთან ერთად უმოწყალოდ ირღვევა ის იდეოლოგიური შენობაც, რომელიც შეახოხლეს თავის პროგრამაში ეგრეთ წოდებულმა ცენტრალურმა პარტიებმა „17 ოქტომბრის კავშირის“ მეთაურობით. ამ პარტიებმა გამოაცხადეს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტმა მოსპო ბრძოლა „საზოგადოებასა“ და მთავრობას შორისო. ამით დაიწყო მთავრობას პარტიის შექმნა და ბევრსაც ცდილობდნენ, რომ საზოგადო ძალები „თავისუფლებისა“ და „წესრიგის“ ბაირაღის ქვეშ მიემხროთ. მათთვის საჭირო იყო, რომ არჩევნებს ცოტაოდენი „ევროპიული“ ელფერი დებოდა. სწორეთ ამნაირ პირობებში შეეძლოთ მათ გამარჯვება და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ თავის გარშემო შემოიკრებდნენ საზოგადო ელემენტებს, რომლებიც შესაძლოა ოქტომბრის რევოლიუციონური ნადავლით დაკმაყოფილებულიყვნენ. ეხლა კი ეს პარტიები დიდათ განცვიფრებული არიან, რადგან ამჩნევენ, რომ თვითმპყრობელობა, რომელსაც თავისი ისტორიულათ შექმნილი ფორმა აქვს და დამყარებულია თვითნებობაზე და ყოველივე მოქალაქობრივი უფლებების უარყოფაზე, ეს თვითმპყრობელობა გაუქმებული დარჩა 17 ოქტომბრის მანიფესტის მიუხედავათ. ფრიად შეძრწუნებული არიან იმ გარემოებით, რომ რევოლიუციონერების დამარცხება, რომელსაც ისინი ტაშისცემით ეგებებოდნენ, თურმე ხელს უწყობდა მთავრობას თავის პირველ პოზიციებში დაბრუნებულიყო. ეხლა ეს პარტიები მთავრობის ოპოზიციაში ჩადგომას ცდილობენ. მქონებელთა კლასი, რომელიც მეტ ნაწილათ პარტიას შეადგენს, ნელ-ნელა მარცხნით მიიწევს. 17 ოქტომბრიდან მოწყებული დღევანდლამდის პარტიამ ბევრი რეაქციონური ელემენტები მიიკედლა. მქონებელთა კლასის ინტერესები მოითხოვდა, რომ ის ამის შემდეგ რევოლიუციის გაგრძელებას შებრძოლებოდა. ამის მიხედვით იმათ იდეოლოგებმა შეიმუშავეს ისეთი პროგრამა, რომლის ქვეშაც თავი მოიყარა „ცენტრალური“ პარტიის სხვა და სხვა ჯურის ჯგუფებმა. ვითომ გალიბერალებული, მაგრამ ნამდვილათ კი რეაქციონური ჩინოვნიკი, ჩამორჩენილი და უმეცარი პროვინციელი მცხოვრები, რომელიც ხშირათ სხვა და სხვა ასპარეზზე მეტოქეობას უწევს „ინტელიგენტებს“ და „ებრაელებს“, ველური მებატონე და ჩასუქებული ძველი ვაჭარი, რომლებიც გუჩკოვებსა და შიპოვებს მიემხრნენ კადეტებთან საბრძოლველათ, განაპირა ქვეყნებში „სხვა ერებისაგან ჩაგრული ჭეშმარიტი რუსები“—ყველა ეს არსებითად რეაქციონური ელემენტები თავს იყრიან „17 ოქტომბრის“ ბაირაღს ქვეშ და „ცენტრალურ“ პარტიებს არ ანებებენ ძველებურ ლიბერალურ პოზიციებისკენ დაწევას. ეს წინააღმდეგობა ერთიანათ ათახსირებს „ცენტრალურ“ პარტიებს, მას ჩამოშორდნენ „წესრიგის“ პირველი დამფუძნებლები და პარტია ნახევრათ პოლიციურ დაწესებულებათ გადაიქცა. ვაჭრობა-მრეწველობის, ან „კონსტიტუციონური“ პარტია ვერ ბედავს ყველა „ცენტრალური“ პარტიისთვის საჭირბოროტო კითხვის დასმას: მართლა გახდა რუსეთი კონსტიტუციონურ სახელმწიფოთ 17 ოქტომბრის შემდეგ, თუ ეს აქტი ტყუილათ არის აღნიშნული ჩვენ ბაირაღზედო?

„17 ოქტომბრის კავშირმა“ თავის სიეზდზე დაადასტურა თავისი კონსტიტუციონური მოთხოვნები, მათის ლიდერების სიტყვებიდან სჩანს, რომ ბევრი ულაპარაკნიათ მთავრობის უნდობლობაზე და მასთან ბრძოლის გაგრძელების საჭიროებაზე. მაგრამ რადგანაც პარტია სავსეა „შავრაზმელთა“ ელემენტებით, თავისთავად ცხადია, რომ სიეზდმა ისიც ვერ მოახერხა თავის რეზოლიუციებში მოეთხოვნა სამხედრო ან სამხედრო-საველე წესების გაუქმება რუსეთში. განაპირა ქვეყნების პატრიოტ რუსებს („ТАШКЕНТЦЫ“), რომლებიც ამ პარტიის ღედაბოძს შეადგენენ განაპირა ქვეყნებში, და რომლებსაც თავის პროგრამის ყვავილათ „არარუსის“ დაჩაგვრა გაუხდიათ, ვითომდა „სახელმწიფოს განუყოფლობის“ დასაცველათ, ამ „ტაშკენცებს“ არ შეუძლიან პროტესტი გამოუცხადონ სამხედრო წესებით ალსავსე რეჟიმს, რომლის ჩრდილის ქვეშაც მათ ეადვილებათ თავიანთი „ნაციონალური“ ბრძოლის გაგრძელება. გულწრფელათ ვერც ვეღარმა მებატონეებმა გამოუცხადეს პროტესტი ამ რეჟიმს, რადგანაც დამტუქსველი ექსპედიციების მეოხებით ისინიც ცდილობენ თავიანთი აწეწილი საქმეები მოაგვარონ. ტყუილათ კი არ უთქვამს ერთ ორატორს სიეზდზე! არ შეგვიძლიან გავკიცხოთ სამხედრო წესები, რადგანაც სწორედ ამ წესების შემოღების შემდეგ გაიფურჩქნა და გაძლიერდა 17 ოქტომბრის პარტიაო. ოქროს სიტყვებია სწორედ! უბედურება მხოლოდ ის არის, რომ თუმცა „კავშირს“ ვიტე-დურნოვომ თავისუფალი პოლიტიკური მოქმედების მონოპოლია მიანიჭა, მაგრამ მან (პარტიამ) მაინც ვერ შესძლო თავის გარშემო ცოცხალი ელემენტების შემოკრება და უამისოთ ხომ პარტიას არ შეუძლიან გახდეს, დროებით მაინც, თავისუფლებისათვის მებრძოლ ბურჟუაზიის წარმომადგენლათ. ისეთი ორჭოფული შეხედულობა, რომელიც პარტიამ გამოიჩინა გ.გ. რიმანების გალაშქრებაზე, ეჭვი არ არის მთლად გაანადგურებს პარტიას და თანდათან ჩამოაშორებს შემთხვევით მათ ბადეში გახვეულ მცხოვრებლებს, რომლებიც დარწმუნდებიან, რომ მმართველი კამარილის ასალაგმათ უფრო რაციონალური ზომებია საჭირო.

აი, სწორედ ამისათვისაა, რომ „ცენტრალური“ პარტიები—„17 ოქტომბრის კავშირის“ ბელადობით, ვერ გახდებიან ბურჟუაზიული მოძრაობის ხელმძღვანელებათ და საარჩევნო კამპანიის მსვლელობაშიაც დიდ პოლიტიკურ ძალას ვერ გამოიჩენენ, თუმცა პირობები კი ხელს უწყობენ ბლომათ გაიყვანონ თავიანთი კანდიდატები სათათბიროში. ამ პარტიის შემადგენელი ელემენტები ძალზე არიან გაცლენთილი დამპალი რეჟიმის წვენით და, როგორც არჩევნების დროს, ისე თვით დუმაშიაც ადვილათ შეუერთდებიან იმ მტკიცე რეაქციონერებს, რომლებიც ირჩევენ ან ირჩევიან გუბერნატორების, წინამძღოლების და „ნაჩალნიკების“ ზედგავლენისა და მფარველობის ქვეშ დანარჩენი ელემენტები, რომლებიც ჩანჩალით მიჰყვებიან უკან ზომიერ პარტიებს, თუ არჩევნების დროს არ გამოეთიშენ მათ, დუმაში უთუოდ დაადგებიან პოლიტიკურ გარკვეულების გზას. ესენი თან თავისი მდგო-

*) ეს წერილი დაწერილია „დუმის“ არჩევნების დაწყებამდე.

მყისვე შეუდგა როგორც რედაქციის და მისი თანამშრომლების, ისე კერძო პირების ჩხრეკას. ასეთივე ბედი ეწვია აგრეთვე იმ პირთაც, ვინც რედაქციაში თავის საქმეების გამო შემდეგ შემოვიდა. ამნაირათ პოლიციამ რედაქციაში დილის 9½ საათიდან დაწყებული, შუადღის 4 საათამდე დააკავა 40 კაცი, რომლებიც ორ კატეგორიად გაყო. პირველში მოყვა 24 კაცი, მეორეში დანარჩენები. ვინც პირველ კატეგორიაში მოყვა, ისინი პოლიციამ მეტეხის ციხეში გაგზავნა, ხოლო მეორენი პოლიციის ნაწილში. როცა პოლიციას მოთხოვეს საბუთი დაჭერისა და რედაქციის გაჩხრეკისა, პოლიციამ არავითარი პასუხი არ უთხრა და არც მოწერილობა უჩვენა. ვიღაცას თუ სადღაც, რედაქციის შენობის გარეთ აღმოეჩინა ერთი თუ ორი ცალი დაბეჭდილი პროკლამაცია. თვით რედაქციაში პოლიციას არავითარი გამამტყუნებელი საბუთი არ აღმოუჩენია, მიუხედავათ ამისა გაზეთის ყველა თანამშრომელი და მოსამსახურეები და აგრეთვე სრულებით შემთხვევით შემოსული პირები დაატყვევა და ციხეში ჩაყარა. პოლიციის მიერ შედგენილ ოქმზე არავინ ხელი არ მოაწერა, ვინაიდან იგი სრულებით ფუჭათ იყო შედგენილი, არ იყო დასახელებული, სად ან ვის უპოვეს დაბეჭდილი პროკლამაციები. მაგრამ საინტერესოა, რომ ის საზიზღარი ჭორი და ცილისწამება, როდესაც ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა, რომ ამ დროს რედაქციაში ვითომც კრება იყო გამართული, დღეს პოლიციის მიერ შედგენილ ოქმშიაც არ არის ნახსენები. აქედან მკითხველი გაიგებს, თუ რამდენათ ეთანხმება სინამდვილეს გაზეთებში მოთავსებული ცნობა „ელვის" რედაქციაში მომხდარ ამბების შესახებ, გაზეთები ნებსით თუ უნებლიეთ იმეორებენ იმავე საზიზღარ ცილისწამებას და უმზგავსო ჭორებს, რომლებსაც ასე უხვათ ავრცელებს პოლიცია და ადმინისტრაცია. ამიტომ ყველა გაზეთები, რომლებმაც ეს ამბავი დაბეჭდეს, ვალდებული არიან ეს ჩემი წერილი გადაბეჭდონ თავის ფურცლებზე.

**დამსწრე.**

## ადგილობრივი პრესა

გაზ. „**Весенній потокъ**" (№ 1) ეროვნულ საკითხის გამო გულნატკენი აცხადებს, რომ სოციალდემოკრატია უარყოფს ავტონომიას და კმაყოფილდება მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობით. გაზეთი ცდილობს სოციალდემოკრატები ავტონომიის სასარგებლოთ მოისყიდოს შემდეგი არგუმენტაციით: „კლასობრივი თვითცნობიერება ფართოვდება და მტკიცდება იქ, სადაც სწარმოებს წმინდა ეკონომიური ბრძოლა (კურ. ჩვენია), ასეთი ბრძოლა კი შესაძლებელია იქ, სადაც ეროვნული განსხვავებანი (გაზეთი იგულისხმებს ერთი ეროვნებისაგან მეორის ჩაგვრას) არ ართულებენ მუშათა კლასის ბრძოლას ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ". გაზეთის გულუბრყვილობა სწორედ სისულელემდის მიდის... მისი აზრით სოციალდემოკრატია წმინდა ეკონომიურ ბრძოლას უნდა აწარმოებდეს. მას არ გაეგება თუ რა ურთიერთობაა ეკონომიასა და პოლიტიკას შორის, ტრედ-უნიონიზმი და სოციალიზმი ლობიოსავით ერევა ერთმანეთში.

გარდა ამისა „ვეს. პოტ."-ს დავარწმუნებთ, რომ მუშათა კლასის ბრძოლა, რაც უნდა გართულებული იყოს ეროვნულ საკითხის გამო, ეს მაინც შეუძლებლათ არა ხდის ძლიერ სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის შექმნას. გაზეთს რომ ცოტათი მაინც თვალთ უჭრიდეს ამის მაგალითებს მრავლათ დაინახავდა რუსეთის იმპერიაში, მაგრამ ვინ დაარწმუნა „ვეს. პოტ."-ი რომ სოციალდემოკრატია პრინციპიალურათ უარყოფდეს ავტონომიას და ეროვნულ საკითხს საბოლოოთ სწყვეტდეს ადგილობრივ თვითმართველობის შემოღებით? ეს გაზეთის ფანტაზიის საქმეა.

* * *

გაზ. „კავკაზ. მისლ."-ი გულის ფანცქალით ელის „პირველ ნაციონალურ პარლამენტის" (სახელმწ. დუმის) გახსნას და აღნიშნავს იმ გოლიათურ საქმეს, რომელიც კონსტიტუციონალ-დემოკრატებმა უნდა შეასრულონ ამ პარლამენტში. ამასთანავე გაიხსენებს აუარებელ დაბრკოლებებს, რაც კადეტებს ხელ-ფეხს უკრავს დუმაში და „ტორმაზს" უკეთებს დუმის მოქმედებას „კანონიერ საფუძველზე". ასეთ პირობებში როგორ მოიქცევიან კადეტები-დეპუტატები? გაზეთი უპასუხებს: „პირობა უნდა დასდონ, რომ გამოიჩენენ უსაზღვრო მამაცობას და არაფრის წინ არ დაიხევენ წამოყენებულ მოთხოვნათა განსახორციელებლათ". საქებურია, საქებური! მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, რაში გამოხატავენ კადეტები თავიანთ უსაზღვრო მამაცობას? საინტერესოა ვიცოდეთ რაზე აყრდნობენ კადეტები „სახალხო თავისუფლების" გამარჯვების იმედს? გაზეთი სწერს: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ დუმის თვითოეულ ოპოზიციონურ ნაბიჯს მხარს დაუჭერს „საზოგადოებრივი აზრი". აი კადეტების მთელი არსენალი! „საზოგადოებრივი აზრი" ხომ იმავ კადეტების „რეჩებია". დურნოვომ კი კაი ხანია ბეჯითათ გამოაცხადა, რომ იგი „რეჩებს" ყოველთვის დაუპირდაპირებს „პულემიოტებს". მაგრამ კადეტები მაინც „რეჩებს" არა სცილდებიან... თუ რამე არის უსაზღვრო, ეს—სწორეთ კადეტების მოქალაქობრივი ლაჩრობაა.

# პროვინცია.

**სამტრედიის საბოქაულო.** დღეს ჩვენი ცხოვრება ისევ ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობს. ხალხი დღესასწაულებს ძველებურათ ჭამა-სმით, ცეკვა-თამაშით და ბურთაობით მიეცემა, რომ დროებით გული გაართოს. რეაქციაც თითქო მიეჩვია, თუმცა ხანდისხან აქა-იქ არაზედულათ გარეკავს ხოლმე ბრწყინვალებს. შიგა და შიგ რევოლუციონურმა მოძრაობამაც წამოყო თავი.

სოფლის მიწების ძებნა ჯერაც არ დასრულებულა, თუმცა ამ ნიადაგზე მრავალი უთანხმოება აღმოცენდა. შუღლი მოსდით სხვა და სხვა სოფლის გლეხებს ერთსა და იმავე ადგილის თაობაზე. უთანხმოების უმთავრესი საგანი მაზაბლისეული ადგილია (სივრცით 600 ქცევაზე მეტი), რომელსაც ამ ჟამათ სათავად-აზნაურო ბანკი უფლობს. ოთხი სოფლის: იანეთის, ფარცხა-ნაკანების, დიდი-ჯიხაიშის და ეწრის მცხოვრებნი ვერ შეთანხმებულან ამ ადგილის განაწილებაზე და უკმაყოფილებისათვის ბოლო ვერ მოუღიათ.

რეაქციის შესხებით ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა ისევ გახშირდა და როგორც მოსალოდნელი იყო ზოგიერთი რეაქციონერი ბურჟუიკები საგიტაციო მასალათ ხმარობენ ს. დ. ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ენერგიას ს. ეწრის მცხოვრები ლაზარე კოპალეიშვილი იჩენს. ლაზარე ცნობილია როგორც ფეოდალი, მშრომელი, გამოცდილი, გონიერი, ენა მახვილი და მოგახშე კაცი.

ამასთანავე ლაზარე ისეთი მოვახშეა, რომელსაც ხალხის უმრავლესობა მადლიერი ყავს. ლაზარე წინათაც უნდო თვალით უყურებდა ახალ ცხოვრებას, რადგან სოფელში ბლომათ ქონდა ფული დაბნეული, მაგრამ ახლა, რეაქციის გამარჯვების შემდეგ, პირდაპირ შეებრძოლა ადგილობრივ ორგანიზაციას. შეებრძოლა იმით, რომ ხმა გაავრცელა: ჩვენი ოჯახის მძარცველები, (მარტში ლაზარეს ოჯახი მართლა გაძარცვეს ყაჩაღებმა) უთვალი წითელი რაზმელებია და ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოქმედებენო. ამიტომ მოგმართავთ თქვენ (ხალხს) ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოთო. მართალია ხალხიც შეიძრა, ორგანიზაციამაც ღონე იღონა, მაგრამ ჯერ სასურველი არაფერი გამორკვეულა.

რეაქციის უმთავრესი ბელადი ჩვენს კუთხეში ადგილობრივი ბოქაული შავგულიძე ბრძანდება. 3 აპრილს ბოქაული შავგულიძე ს. დიდ-ჯიხაიშს ეწვია, მოითხოვა თავმდებები, რომელთა მოვალეობა იყო, თვალ-ყური ედევნებიათ მცხოვრებთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. აღმოაჩინა მათი უენერგიობა და სტრაჟნიკების მათარახებით დაემუქრა, იქვე გაიგო, რომ გამოქცეული სალდათი პორფილე კოხრეიძე შინ იმალებაო და სწრაფათ გაემართა იქითკენ. კოხრეიძე შინ დაუხვდა და დაატუსაღეს. ის უკვე გამოცხადებოდა ქ. ქუთაისში გუბერნატორს და შინ დაბრუნების ნებართვა აღო. კოხრეიძის სახლის გაჩხრეკამ ვერაფერი სასიამოვნო ვერ აღმოაჩინა ბოქაული შავგულიძისთვის.

11 აპრილს ბოქაული შავგულიძე მოულოდნელათ შუადამისას თავს დასხა გამოჩენილ ესერს კოლა უფერაძეს, მაგრამ მოხერხებული ესერი მოულოდნელათ ხელიდან გაუსხლტა. ბოქაულმა დამნაშავის ნაცვლათ იმისი ძმა დაატუსაღა და ოქმის შედგენის შემდეგ განათავისუფლა.

შავგულიძეზე არა ნაკლებ „მოღვაწეობენ" სამტრედიის სადგურის ჟანდარმები. გაზეთის გამყიდველ ბავშვებს მათგან მოსვენება არა აქვთ: დაიჭერენ, აწვალებენ და შემდეგ გაუშვებენ იმ პირობით, რომ გაზეთები აღარ გაყიდონ.

ამ დღეებში სოფ. ეწრის სამმართველოში მოხდა კრება რწმუნებულებისა. 72 კაციდან გამოცხადდა 67, რომლებმაც აირჩიეს 2 კაცი სამაზრო კრებაზე დასასწრებათ. ესენი არიან ილია კოპალეიშვილი და ნიკოლოზ ჯღარკავა. აზნაურებისა და სამღვდელოებათა არჩევნების დღე ჯერ არ დაუნიშნავთ.

**რ. მეხაძე.**

**სიღნაღი.** პროვოკატორთა ენა არ ისვენებს. ჯერ იყო და სიღნაღელებს გული გაუხეთქეს: თათრების რაზმი შეიკრა და სიღნაღზე თავდასხმას აპირებენ. ახლა მოიგონეს და ხმებს ავრცელებენ ლეკები კახეთში გადმოსვლას აპირებენო. სავირველია ღმერთმანი, რომ ასეთ ჭორებს ბოლო არ მოეღო და ახლაც ხალხს აშინებენ. 9 აპრილს კაჭრეთის ბოლოზე მოკლეს მთიულეთელი (მადრასული) შაქრო მჭედლიშვილი. მჭედლიშვილის ადგილის მახლობლათ მეცხვარეს ცხვარი ყოლია. რამდენიმე ცხვარი უცაბედათ შაქროს ადგილში გადასულა და იმასაც ზარალში ერთი ბატკანი მოუთხოვია. მეცხვარეს ბატკანი მიუცია, მაგრამ მჭედლიშვილს ბატკანი პატარავებია. გადმოუღია თოფი და უსვრია (ცხვრისთვის თუ კაცისთვის არ ვიცით) და მოუკლავს ერთი ბატკანი. მეცხვარესაც უსვრია თოფი და შაქრო მჭედლიშვილი მოუკლავს. დამნაშავე დაატუსაღეს და სიღნაღში გაისტუმრეს.

**ი. ჭოტორელი.**

### როგორ უნდა მოვაწყოთ პროფესიონალური კავშირები

ვინც ყურადღება მიაქცია საფრანგეთის უკანასკნელ ამბებს დაინახავდა, რომ მარტო პოლიტიკური თავისუფლება მუშა ხალხისთვის დიდ ბედნიერებას არ შეიცავს. სანამ მუშა იძულებულია ქირაზე იმუშაოს, მანამდის მისი გაყვლეფაც არ მოისპობა. ამიტომ მუშამ ყოველი ლუკმა ბრძოლით უნდა მოიპოვოს. ბრძოლა კი თვითეულ მუშას ცალ-ცალკე არ შეუძლია: საჭიროა მუშების შეერთება და საერთო ძალ-ღონით ბრძოლა. მით უფრო საჭიროა ეს ჩვენში, სადაც ხაზეინების თავვასულობას საზღვარი არა აქვს, რადგან კანონი ამ მხრივ მათ სრულ თავისუფლებას ანიჭებს. ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ მხოლოდ სასტიკი ბრძოლით თუ გაიწყობ რამეს, ბრძოლაში კი ის იმარჯვებს, ვისაც მეტი ძალა აქვს. ეს ერთი. მეორეც ის, რომ დღეს ყველა პარტია ცდილობს მუშების ზურგზე ბუქნა ითამაშოს. სხვა და სხვა პარტია კი საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფების წარმომადგენელია. მუშებისთვის სულ ერთი არ არის, რომელ პარტიას მიემხრობა ის. აქაც სასტიკი ბრძოლაა საჭირო. მაგრამ როგორ უნდა ვიბრძოლოთ, აი მეტათ სერიოზული კითხვა. არც ერთ საქმეში იმდენი სიფთხილე არ არის საჭირო, რამდენიც აქ. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეებს ძლიერ უწყობს ხელს ხალხის გაუნათლებლობა და ათასგვარი ცრუმორწმუნოება, რომელიც რამდენიმე საუკუნეა ხალხს ძვალრბილში აქვს გამჯდარი. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენი ხულიგანების უმრავლესობას შავი მუშები შეადგენენ, ამიტომაა რომ ურიების აკლებაში მუშები თვალსაჩინო როლს თამაშობენ, ამიტომაა, რომ სომეხი და თათარი მუშები ერთმანეთის სისხლსა ღვრიან. რა უნდა ვიღონოთ ამის წინააღმდეგ? რა და ვებრძოლოთ იმ პარტიას, რომელიც მუშა ხალხის მტერათ გამოდის, მეტყვიან. ჩვენი პარტია—სოციალდემოკრატია სასტიკათ ებრძვის მას, სადაც კი ეს მოსახერხებელია. მაგრამ ეს საკმაო არ არის. ჩვენ ვაარსებთ პროფესიონალურ კავშირს და ბრძოლაც, სხვათა შორის, იქ უნდა გადავიტანოთ. პირდაპირ ასე უნდა გავიგოთ ერთი ამხანაგის წერილი „ხელოსნები და პროფესიონალური კავშირები (იხ. „ელვა" № 23), სადაც ის ამბობს „სოციალდემოკრატიულ" პროფესიონალურ კავშირზე, ე. ი. პროფესიონალური კავშირის სოციალდემოკრატიის გავლენის ქვეშ დაყენებაზე. ამავე აზრს ემხრობა არსებითად თფილისის წვრილ მაღაზიის მუშების პროფესიონალური კავშირი (ამ კავშირის წესდება დაბეჭდილია „ელვის" № 26). ამ კავშირის წესდების ძალით წევრათ მიიღება ყველა წვრილ სავაჭროს მოსამსახურე განურჩევლად პარტიული და სხვაგვარი რწმენისა, მაგრამ ამავე წესდების ძალით კავშირი ეხმარება შეძლების დაგვარათ მუშათა პარტიას—ე. ი. სოციალდემოკრატიას. პროფესიონალური კავშირის ასეთი მოქმედება დიდი შეცდომაა. მეტია იმაზე ლაპარაკი თუ რამდენათ შეუწყნარებელია „სოციალდემოკრატიული კავშირის" დაარსება—ეს ნიშნავს ყველა იმ მუშების ჩამოშორებას, რომელნიც სოციალდემოკრატიას ან მტრობენ ან გულგრილათ და ეჭვის თვალით უყურებენ. ასეთი მუშების რიცხვი რომ საკმაოთ დიდია ეს ყველასთვის ცხადია. ამიტომ პროფესიონალური კავშირის ამა თუ იმ პარტიის გავლენის ქვეშ დაყენება „დაშნაკცუთუნს" და სხვა ეროვნულ პარტიებს უნდა დავულოცოთ.

მუშა ხალხის დაყოფა და ერთმანეთზე მისევა ამ პარტიების საქმეა, ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, ასეთივე უტაქტიკობა და, თუ გნებავთ, უსამართლობა იქნება კავშირის მხრით ის, რომ ის ყველა რწმენის ხალხს მიიღებს წევრებათ და ამათი ქონების ერთ ნაწილს სოციალდემოკრატიას გადასცემს. როგორ ხელზე დაიხევს ამას „დაშნაკცუთუნი" და „ფედერალისტთა პარტია"! შეიძლება თქვენ სოციალდემოკრატია ყველაზე უფრო კარგათ იცავს მუშების ინტერესებსო. ეს მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველა მუშას ეს არ ესმის. ამიტომ კავშირებმა უნდა ეცადონ პარტიული პოლიტიკა უარყონ, ე. ი. კავშირი არ უნდა იყოს პარტიული. ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, ვითომ კავშირმა უნდა უარყოს საზოგადოთ პოლიტიკა. პირიქით მან სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს მუშათა კლასის პოლიტიკას, ე. ი. ყოველგვარი შემთხვევით ისარგებლოს, რომ მუშათა კლასი, როგორც მთელი, კაპიტალისტებს დაუპირდაპიროს, მათ შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობა გამოააშკარაოს და სინათლეზე გამოიტანოს. თავისთავათ ცხადია, რომ კავშირი უნდა იყოს უსათუოთ ინტერნაციონალური, ე. ი. მაში უნდა შედიოდეს ყველა მუშა განურჩევლათ ეროვნებისა, სქესისა და მდგომარეობისა, რუსი იქნება იგი თუ ოსი, სომეხი, ქართველი, ურია თუ სხვა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს კავშირი მუშა ხალხის ნამდვილ სამსახურს.

**კ. ნ.**

# რუსეთი

**რევოლუციონური დადგენილება.** საეროვნო უფროსმა უბრძანა სოფ. მედვედევის გლეხებს: თქვენი საზოგადოებიდან 30 გლეხი უნდა გაასახლოთო. გლეხებმა მოისმინეს უფროსის ბრძანება და დაადგინეს, გაასახლონ საზოგადოებიდან ის სამი ზნე-დაცემული კაცი, რომელთაც უფროსის ასეთ ბრძანებას მხარი დაუჭირეს.

**მოძრაობა მუშებში.** ქალაქ ტულის იარაღის და პატრონების ქარხნებში მუშების მოძრაობა დაიწყო. მოძრაობა მუშების დათხოვნამ გამოიწვია. მარტო პატრონების ქარხანაში 5,000 მუშა დაუთხოვნიათ, თუმცა ქარხნების ყველა განყოფილებებში სალდათებია ჩაყენებული, მაინ ყველგან ყრილობები და კრებები ხდება და ორატორები ამხანაგებს საერთო გაფიცვისაკენ იწვევენ.

**შიმშილობის გამო.** როსტოვის მახლობლათ დამშეულ გლეხებს ფურების ბეღლებიდან პური გაუტანიათ. დამშეულების ასაღაგმავათ კაზაკები გამოუწვევიათ.

**ხელწერილი.** მოსკოვ-კიევის რკინის გზის სამმართველოში მოსამსახურეებს წერილობითი პირობას ართმევენ, რკინის გზის მომავალ საყრილზე დელეგატებს არ გავგზავნითო.

**შეტაკება.** პოლტავის თემთან ხალხსა და კაზაკებს შორის დიდი შეტაკება მოხდა. კაზაკები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ.

**კონსპირატიული ბინის აღმოჩენა.** რიგაში ადმინისტრაციას საიდუმლო ბინა აღმოუჩენია. ამ ბინაზე უპოვნიათ ათასამდე არალეგალური ბროშიურა და მოწოდებები, ყალბი პასპორტები, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბეჭედი და იარაღი. იქვე შეუპყრიათ 6 კაცი.

**გაპონი იპოვეს.** მკითხველებმა იციან გაპონის დაკარგვის ამბავი. ვინ იცის, რა და რა ჭორებს არ სწერდენ ამას შესახებ რუსეთის გაზეთები. ახლა დანამდვილებით შეუტყვიათ, რომ გაპონი ფინლანდიაში ცხოვრობს და სრულიად ჯანმთელია.

**გოროდკოვის გადასახლება.** 12 აპრილს პოლიციის დეპარტამენტმა გამოუცხადა ყოფილ გოროდკოვს ქელობიკოვს, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით 2 წლის ვადით პეტერბურგის გუბერნიიდან უნდა გადასახლდეო.

**ხულიგანებს პასუხის გებაში აძლევენ.** „რუსეთის ხალხის მამაკთ" მოწოდების ავტორი-გამომცემელი დეკანი სტ. სოკოლ. ლავროვი პასუხის გებაში მიუციათ. ამ მოწოდებით

---

მარეობით, თან რუსეთის რევოლუციის ზედგავლენით, რომელიც მეტის მეტათ ამწვავებს მოწინააღმდეგეთა შორის დამოკიდებულებას,—იძულებულნი შეიქნებიან მიემხრონ გლეხებისა და წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ იმიზიებს. ბ-ნი პ. სტრუვე საფუძვლიანათ ამბობს („პოლიარნაია ზვეზ." № 10), რომ „17 ოქტომბრის კავშირის" წყალობით არჩეული გლეხები დუმაში უთუოდ ჩამოშორდებიან ამ პარტიასო.

და განა მარტო გლეხები ჩამოშორდებიან? ცენტრის პარტია, რომელიც გაიზარდა სამხედრო წესების წყალობით, მაგრამ რომელიც იძულებულია მისდა უნებურათ ამ წესებს ებრძოლოს, არჩევნების დროს ან თვით დუმაში ვერ შესძლებს დიდი პროგრესიული როლის თამაშობას, და ვერც პოლიტიკურ ძალებს შემოიკრებს თავის გარშემო. ასეთი პროცესი კი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია რევოლუციის გასაძლიერებლათ და თუ რომელიმე პარტია ამ პროცესში მოწინავე როლს ითამაშებს, ის მოიპოვებს მკვიდრ პოზიციას თავისი პოლიტიკური საჭიროების წამოსაყენებლათ და მათ გადასაწყვეტათ. მქონებელთა პარტია მეტ ნაწილათ ასეთი როლისთვის მოუმზადებელი გამოდის ბრძოლის დროს. სწორეთ ამიტომაა, რომ ეს პარტია თავის თავად ეკუთვნება არა მქონებელთა, ანუ უკიდურეს პარტიებს—უკანასკნელთა თვალში კი სოციალდემოკრატიას.

როცა ცენტრის პარტიები სულს ღაფავენ და იღევიან შემავიწროებელ კანონის ქარცეცხლში, მაშინ რევოლუციონური მასსის ცნობიერებაში, ამავე კანონების წყალობით, რევოლუციონური პარტიები ღრმავდებიან. რაც უფრო მწვავდება საარჩევნო კამპანია, რაც მეტ სისასტიკეს ხმარობს მთავრობა არჩევნების ჩასაშლელათ, მით ზომიერებიც მეტ ნდობას კარგავს ხალხში, რომლის სიმპატიებიც თანდათან უკიდურეს პარტიებისკენ გადადის, სულ ახალ-ახალი მასსები ემატება უკიდურეს პარტიებს. რაც ზომიერი პარტიების რიცხვი დუმაში მეტად შემცირდება, რაც მათ ბლომათ ჩამოშორდება შემთხვევით მიკედლებული ელემენტები, მით მეტი ძალა შეეძინება უკიდურეს პარტიებს, რომლებიც მეტ ზრდას დაიწყებენ ბიუროკრატებთან ბრძოლის დროს. მოკლეთ რომ ვთქვათ; რამდენათაც არჩევნების დროს ბურჟუაზია ნაკლებათ შესძლებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში მოქცევას, მით უფრო გაუადვილდებოდა ამ როლის შესრულება უკიდურეს პარტიებს, რომლებიც თანდათანობით იცავენ პროლეტარიატის და გლეხების ინტერესებს, მით უფრო ადვილათ მოახერხებდენ არჩევნების დროს თავის ორგანიზაციაში მოემწყვდიათ ხალხის მასსა და მედგარი ბრძოლა გაეწიათ ხალხის მოწინააღმდეგე კანდიდატების და ბურჟუაზიული „წესიერების" რაინდების დასამარცხებლათ.

დეკემბერში დამარცხებული უკიდურესი პარტიებისთვის საუმჯობესო იქნებოდა აქტიური მონაწილეობა მიეღო საარჩევნო კამპანიაში და თავის სასარგებლოთ გამოეყენებიათ ის რევოლუციონური აგიტაცია, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს ეწეოდა „კონსტიტუციონური" კაბინეტი დღემდის გულგრილ მასსაში. პირველი საკითხი უკიდურესი პარტიებისა, მეტადრე მაშინ, როცა რევოლუციონური სტიქია ხელს იბრუნებს, რომ მეტის სიმძლავრით აღფრთოვანდეს,—პირველი საქმე ის იყო, რომ როგორმე ეს ახლად გამოღვიძებული მასსა მაგრათ ჩაებღუჭა რევოლუციონურ კლანჭებში და მტკიცედ დაეკავშირებია ის რევოლუციასთან. კერძოთ პროლეტარიატს, რომელმაც პოლიტიკურ ცნობიერებით შორს გაასწრო მთელს ნაციას, უნდა ესარგებლა ამ საარჩევნო კამპანიით და უფრო მტკიცე ნიადაგზედ გაემაგრებია თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელახლა შეირყა დეკემბრის დღეებში; ამით პროლეტარიატი მეტ პარტიულ სულს შეიტანდა ორგანიზაციაში, მეტ პარტიულ დისციპლინას და ერთობას შეიმუშავებდა, რითაც საუკეთოთ განსხვავდება ამ შემთხვევაში გერმანული სოციალდემოკრატიული პარტია, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობის მიღებით შეიმუშავა მკვიდრი პარტიული დისციპლინა და ერთობა. რაც შეეხება ჩამორჩენილი გლეხების და მოქალაქეების მასსას, ამათ ხომ უკიდურესი პარტიები ხომ უფრო ხელმძღვანელობას გაუწევდენ და ჩამოაშორებდენ ბურჟუაზიულ პარტიებს.

უკიდურესი პარტიების მხრით არჩევნებში მონაწილეობის მიღება ძირიანათ შეცვლიდა და სულ სხვა პოლიტიკურ მნიშვნელობას მისცემდა საარჩევნო კამპანიას, რომელიც განგებ შევიწროებულია მთავრობისაგან. მხოლოდ არჩევნებში ჩარევა წამოაყენებს ხალხის წინაშე სოციალურ კითხვებს—მათ შორის ყველაზე წინ „მიწების საკითხს", რომლებსაც ბურჟუაზიული პარტიები ბუნდოვანათ იხსენიებენ თავიანთ პროგრამებში, ხოლო გარკვეულათ კი არას ამბობენ. სოციალური საკითხების გარკვეულათ პირდაპირი წამოყენება ხალხის წინაშე უფრო მტკიცეთ დააკავშირებს მასსას პარტიის სარევოლუციო ლოზუნგებთან. რამდენათაც ასეთი კავშირი მაგარი იქნებოდა, იმდენათ მთავრობას საშუალება წაერთმეოდა ძველებური „მშვიდობიანობის" ჩამოსაგდებათ და ყალბი წარმომადგენლობის შესანარჩუნებლათ. სწორედ ვისაც სურს დუმის ჩაშლა იმ მოსაზრებით, რომ ვიტეს „კონსტიტუცია" ხანგრძლივი არ დარჩეს რევოლუციის მსვლელობაში,—იმან უთუოდ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საარჩევნო კამპანიაში.

საუბედუროთ უკიდურეს პარტიებს არ სურთ ამისი გაგება. „სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიამ" მიუხედავათ იმისა, რომ მას საშუალება ეძლეოდა, უკანასკნელათ მაინც არის, სახალხო გლეხთა პარტიათ გამხდარიყო,—ბოიკოტი გამოუცხადა დუმას და ისევ რევოლუციონური ინტელიგენტების ჯგუფათ დარჩენა ამჯობინა.

(დასასრული იქნება).

ხულიგანი-ჯგუფის ხალხს ებრაელების ამოჟლეტას უწევდა.

**ლირსეული შურის ძიება.** განსვენებული ბაუმანის სიკვდილი «გოლოსს» გაუხარებია. ბაუმანი სოციალ-დემოკრატი იყო. მკითხველს ახსოვდება რა პატივით და დიდებით დაასაფლავა მოსკოვის ხალხმა ჯაშუშის მიერ მოპარულად მოკლული მებრძოლი. ასეთი პატივის ცემა «გოლოსს» რა თქმა უნდა არ მოეწონებოდა და შურის ძიების გრძნობას გაუღვიძებდა. სწორედ ლირსეულათაც გადაუხდიათ სამაგიერო.

**ოფიცრის დატუსაღება.** დვინსკში დაატუსაღეს პორუჩიკი ლებედევი. ლებედევს დვინსკის სატუსაღოს პოლიტიკურ პატიმრებთან დამოკიდებულებას აბრალებენ. ამ სატუსაღოში ლებედევი დარაჯად უფროსად იყო. დატუსაღებული ოფიცრის ბინაზე უპოვიათ არა ლეგალური ლიტერატურა და სხვა მამხილებელი საბუთები.

**ტუსაღის გაქცევა.** ალაფუზის სასამართლოდან ციხეში პოლიტიკური დამნაშავე მიჰყავდათ. ტუსაღმა ისარგებლა დარაჯების დაუდევრობით და გაიქცა. დაჭერა ვერ მოახერხეს.

**პოლიტიკური ტუსაღების გაპარვა.** მოსკოვის პოლიციის ნაწილიდან გაიპარა ორი პოლიტიკური დამნაშავე. ამათ ფანჯარა გამოუტეხიათ, სამშვიდობოს გადამხტარან და უკვალოდ მიმალულან.

---

## ძირითად კანონების პროექტი

სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია პროექტი რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებისა, რომელიც ვიტე-დურნოვოს მთავრობას შეუდგენია და შემდეგ მინისტრთა საბჭოს შეუსწორებია. მოგვყავს უმთავრესი მუხლები ამ პროექტიდან:

1. რუსეთის იმპერია ერთიანია და განუყოფელი; 2. ფინლიანდია რუსეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენს, მაგრამ შინაურ საქმეებს მისას საკანონმდებლო წესით მოქმედობს; 3. რუსული ენა სახელმწიფოს საერთო ენაა და იგი სავალდებულოა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ზღვისა და ხმელეთის ჯარში. ადგილობრივ ენათა ხმარება განისაზღვრება განსაკუთრებითის კანონებით.

შემდეგ პროექტი განიყოფება ხუთ თავად. თავი 1. უზენაეს თვითმპყრობელ მეუფობის რაობაზე. თავი 2. ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი რუსეთის ქვეშევრდომთა. თავი 3. კანონებზე. თავი 4. სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროზე და მათ მოქმედებათა გარემოებაზე და თავი 5. მინისტრთა საბჭოზე.

პირველს თავში ვკითხულობთ:

4. რუსეთის იმპერატორს ეკუთვნის უზენაესი თვითმპყრობელობითი მეუფობა. მორჩილება იმის მეუფობისადმი არა მარტო შიშის გამო, არამედ აგრეთვე სინიდისის წინაშე თვით ღმერთი ბრძანებს. 5. პიროვნება ხელმწიფე-იმპერატორისა საკურთხია და ხელუხებელი; 6. ასეთივე უზენაესი თვითმპყრობელობითი მეუფობა ეკუთვნის დედოფალს იმპერატრიცას, როდესაც ტახტის მემკვიდრეობა ერგება ქალს, თანახმად დადგენილის წეს-რიგისა. ხოლო მეუღლე მისი არ ჩაირიცხება ხელმწიფედ, მას მიენიჭება მხოლოდ პატივი და უპირატესობანი ისე, როგორც ხელმწიფის მეუღლეს, გარდა ტიტულისა; 7. ხელმწიფე იმპერატორი განახორციელებს რუსეთის იმპერიაში საკანონმდებლო უფლებას სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსთან ერთად; 8. ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის უფლება ყოველ საკანონმდებლო საგნის აღძვრისა (ინიციატივა); 9. ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის უფლება კანონთა დამტკიცებისა და მის დაუმტკიცებლად არც ერთ კანონს არ ექნება სამოქმედო ძალა; 10. უფლება მართვა-გამგეობისა მთელის თავის სივრცით რუსეთის იმპერიის საზღვრებში ყველგან ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის. უზენაეს მმართველობის საქმეში უფლება ხელმწიფისა პირდაპირ (უშუამავლოთ) მოქმედებს, ხოლო სახელმწიფოთ მართვა-გამგეობაში, თანახმად კანონისა, განსაზღვრულ ხარისხის უფლება ჩაბარდება ხელმწიფისაგან სათანადო დაწესებულებებს და პირებს, რომელნიც იმოქმედებენ იმის სახელით და თანხმად მისის ბრძანებისა; 11. ხელმწიფე იმპერატორი უზენაეს მართვა-გამგეობის წეს-რიგით, კანონთა მიხედვით, გამოსცემს განკარგულებებს (უკაზებს) და ბრძანებებს, რომელიც საჭირო იქნება კანონთა ასასრულებლად, სახელმწიფო მართვა-გამგეობის სხვადასხვა ნაწილის მოსაწყობად, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ უშიშროების და წესიერების დასაცველად, აგრეთვე ხალხის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. განკარგულებანი, უზენაეს მართვა-გამგეობის წესრიგზე გამოცემულნი, გამოქვეყნებულ უნდა იქნენ სენატის მიერ. (შინაგან საქმეთა მინისტრის აზრით, ამ მუხლში შეტანილი არ უნდა იქნას სიტყვები: «კანონთა მიხედვით»); 12. ხელმწიფე იმპერატორი უზენაესი ხელმძღვანელია რუსეთის უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობისა. იმას ეკუთვნის რუსეთის იმპერიის საერთაშორისო პოლიტიკის უმაღლესი მიმართულება. ხელმწიფე იმპერატორი აცხადებს ომს, ჰკრავს ზავს და აგრეთვე ხელშეკრულებებს უცხო სახელმწიფოებთან; 13. ხელმწიფე იმპერატორი რუსეთის არმიის და ფლოტის უმაღლესი წინამძღოლია. იმას ეკუთვნის უზენაესი უფროსობა მელეთის და ზღვის შეიარაღებულ ძალებისა. იგი განსაზღვრავს არმიის და ფლოტის მოწყობილებას, გამოსცემს ბრძანებებს ჯარის გადაყვან-გადმოყვანის შესახებ, აყენებს მათ საომარ ფეხზე, განსაზღვრავს სამხედრო ხელოვნებაში, გაწვრთნის საქმეს და სამსახურის აღსრულებას არმიის და ფლოტის მოხელეთაგან. ხელმწიფე იმპერატორი შეზღუდავს ბინადრობის და უძრავ ქონებათა შეძენის უფლებას იმ ადგილებში, რომელნიც ციხის რაიონებს წარმოადგენენ და არმიის და ფლოტის მოქმედებისთვის იქნებიან დანიშნულნი; 14. ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის ფულის მოჭრის უფლება და დაწესება იმის გარეგანის სახისა; 15. (უმრავლესობის აზრით) ხელმწიფე იმპერატორი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მინისტრებს და საგანგებო ნაწილების მთავარ მმართველებს, აგრეთვე სხვა მოხელე პირებს, თუ უკანასკნელთა შესახებ განსაკუთრებული წესი არ არსებობს დასანიშნავათ. იმის მეუფობას ეკუთვნის უფლება ყველა თანამდებობის პირის დათხოვნისა სახელმწიფო სამსახურიდან; მისი უფლებაა განსაზღვროს რაოდენობა ჯამაგირისა და დანიშნოს რაოდენობა პენსიისა იმ თანამდებობის პირთათვის, რომელთათვისაც ჯამაგირი და პენსია კანონით არ არის დაწესებული, აგრეთვე—უწყალობოს მოხელეებს გაძლიერებული ჯამაგირები და დაუნიშნოს გაძლიერებული პენსია და დახმარება (პოსობიე) მოხელეებს და მათს ოჯახობას; 16. ხელმწიფე იმპერატორი უბოძებს ტიტულებს, ორდენებს და სხვა სახელმწიფოებრივ და წოდებრივ საჩუქრებს (ოტლიჩიებს); 17. ხელმწიფე იმპერატორი განსაზღვრავს თავის უფლებების სივრცეს და თვისებებს იმ მამულების შესახებ, რომლებიც მას ეკუთვნის, აგრეთვე საუფლისწულო და მის უდიდებულესობის კაბინეტის უწყებაში მყოფ მამულების შესახებ. განსაზღვრავს აგრეთვე საიმპერატორო კარის და ამ კართან არსებულ დაწესებულების და საუფლისწულო უწყების მოწყობას და გამგეობის წესრიგს; 18. ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის უფლება, გამოაცხადოს რუსეთის იმპერიის ამა თუ იმ ადგილში საომარი დროის, ან განსაკუთრებულ დაცვის წესები; 19. სამართალი სწარმოებს ხელმწიფე იმპერატორის სახელით, კანონებით დაწესებულ სასამართლოების მიერ; 20. ხელმწიფე იმპერატორს უფლება აქვს მოიღოს წყალობა და ახადოს სასჯელი გასამართლებულებს, შეუმციროს სასჯელი და საყოველთაოთ განთავისუფლოს სამართლისა და სასჯელისაგან ყველა ბოროტ-მოქმედების ჩამდენი, აგრეთ ე განთავისუფლოს სახელმწიფო გადასახადებისაგან.

მეორე თავი, რუსეთის მოქალაქეთა ძირითად უფლებების შესახებ, სხვათა შორის, შეიცავს შემდეგს დადგენილებებს: არავინ არ შეიძლება დევნილ იქნას ბოროტ-მოქმედებისთვის სხვაფრივ, თუ არ კანონით დაწესებულ წესზე; არავინ არ შეიძლება შეპყრობილ იქნას გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც განსაზღვრულ არიან კანონით. არავინ არ შეიძლება გასამართლებულ და დასჯილ იქნას, თუ არ კანონებში აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებისთვის. ბინა ხელ-შეუხებელია. რუსეთის ყველა ქვეშევრდომს თავისუფლათ შეუძლიან აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი და ხელობა; შეიძინოს და გაჰყიდოს ქონება; დაუბრკოლებლივ გასცილდეს ხოლმე სახელმწიფოს საზღვრებს. ამ უფლებათა შეზღუდვა განსაკუთრებულის კანონებით ხდება. კერძო საკუთრება — ხელშეუხებელია. რუსეთის ქვეშევრდომთ უფლება აქვთ გამართონ კრებები, მაგრამ ისეთის მიზნით, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება, მშვიდათ და უიარაღოთ. კანონი აღნიშნავს, რა პირობებით უნდა იმართებოდეს კრებები, როდის არის სავალდებულო მათი დახურვა და სად შეიძლება იმათი გამართვა, კანონით აღნიშნულ ფარგალში ყველას შეუძლიან გამოსთქვას სიტყვიერათ თავისი აზრი და გაავრცელოს იგი ბეჭდვის და სხვა საშუალებებით. რუსეთის ქვეშევრდომებს შეუძლიანთ დაარსონ კავშირები კანონის არა საწინააღმდეგო მიზნით. კანონი განმარტავს კავშირთა დაარსების და მოქმედების წესებს. რუსეთის მოქალაქეებს მინიჭებული აქვთ სარწმუნოებრივი თავისუფლება.

მეოთხე თავში—სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია: სახელმწიფო სათათბირო შეიძლება დათხოვნილ იქნას ხელმწიფე იმპერატორის განკარგულებით, თუნდ ჯერ რწმუნების ვადა არ იყოს გასული. იმავე განკარგულებით, რომლითაც სათათბირო დაითხოვება, დანიშნულ უნდა იქნას ახალი არჩევნები სათათბიროს წევრებისა და დრო მოწვევისა. სახელმწიფო საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს უფლება აქვს აღძრას საკითხი შესახებ არსებულ კანონების შეცვლის ან გაუქმებისა, ან ახალის კანონების გამოცემისა, გარდა ძირითად კანონებთა, რომელთა გადასინჯვის უფლებაც მხოლოდ იმპერატორს ეკუთვნის. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს არ შეიძლება გამოტოვებულ და შეცვლილ იქნას ის შემოსავალი და გასავალი, რომელიც შეტანილ იქნება ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში მომქმედ კანონების, დებულებების, შტატების, განაწილების და აგრეთვე უზენაეს მართვა-გამგეობის წესზე გამოცემულ უმაღლეს ბრძანებების ძალით. თუ წლის დასაწყისისას ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი დამტკიცებულ არ იქნა, ძალაში რჩება უკანასკნელათ კანონიერ წესით დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა იმ ცვლილებებით, რომელთა შეტანაც აუცილებელია ახალის კანონების მიხედვით. (შრ.).

---

# დეპეშები

(პეტერბ. და რუსეთის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

18 აპრილი.

**პეტერბურგი.** სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტმა დაამტკიცა თფილისის სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც თავ. თუმანოვს, თარხან-მოურავოვს და ტყის მცველის ქვრივ კამსარაკანს,—პირველს „პადლოგისთვის“ 8 თვით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა და დანარჩენებს ამ საქმეში მონაწილეობის მიღებისთვის 15 თვით და 10 დღით ციხეში დაპატიმრება.

**პეტერბურგი.** კანონთა დებულების კრებულში გამოცხადებულია ახალი კანონები, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოში წესიერების დაცვას და გარეშე პირების დაშვებას შეეხება.

**ვიატკა.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩიეს საგუბერნიო საკრებულოს თავმჯდომარე იუმაშევი, კადეტი.

**სოსნოვიცი.** დომბროვსკის რაიონის ყველა ფაბრიკა-ზავოდები დაკეტილია.

**მოსკოვი.** გაიფიცა სმირნოვის არყის ქარხანა, მაგრამ საღამოზე ისევ მუშაობა დაიწყეს. თითქმის მთელი დღე ხან აქ, ხან იქ გაფიცვა ხდება, მაგრამ ჩქარა ისევ მუშაობას ანახლებენ.

**ბელასტოკი.** ფაბრიკანტ ფრენდკესის სახლში ყუმბარა შეაგდეს. ფრენდკესი დაიჭრა.

**პეტერბურგი.** გაზეთები გვაუწყებენ, რომ ვიბორგის სატუსაღოდან 18 აპრილს 130 პოლიტიკური ტუსაღი გაანთავისუფლეს; ამ დღეებში კიდევ გაანთავისუფლებენ 1000 კაცს.—როგორც დეპეშებმა გადმოგვცეს 18 აპრ. (1 მაისი) ქ. კალიშში, ვილნოში, მინსკში, ბერდიჩევში, რიგაში და პლოცკში მუშათა უმრავლესობა გაფიცული იყო. დღე მშვიდობიანათ ჩაიარა.

**ჰელსინგფორსი.** 1 მაისის დღესასწაული შესანიშნავათ გაიავლა. მუშები, სტუდენტები და აუარებელი ხალხი წითელი დროშებით და მუსიკით დილიდანვე ქალაქში დადიოდენ. ხალხი ყველა ოვაციებით ეგებებოდა.

**ბაქო.** სახაზინო პალატის თავმჯდომარემ მოახსენა გუბერნატორს, რომ ქალაქმა სხვა და სხვა დროს შეკრებილი სახელმწიფო გადასახადი 234,500 მ. დახარჯა თავის საქმეზე და ხაზინაში არ შემოუტანიათ. გენერალ-გუბერნატორმა ქალაქის თვითმართველობას პასუხი მოსთხოვა.

**ხერსონი.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ტირასპოლისა და ანანიევსკის მაზრებში 18 პოლიტიკური ტუსაღი გაანთავისუფლეს.

**ვოლსკი.** საღამოს ხუთ საათზე ყველა მაღაზიები დაიკეტა, ქალაქის ბაღში მიტინგი გამართეს. ხუთი ათასამდე ხალხი ოვაციებით მიაცილა სახელმწიფო სათათბიროს წევრებს მილკინს და ბონდარევს. საღამოზე ორივე დიდის ამბით მიაცილეს გემამდე. მრავალი სიტყვები წარმოითქვა.

19 აპრილი

**დერბენტი.** ყაჩაღებთან შეტაკების დროს დაჭრილი ყუბანის მაზრის ბოქაული კონიუშევსკი გარდაიცვალა. სოფელ კულლარის ახლო იპოვეს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის ვსევოლოდ უსპენსკის გვამი. როგორც ამბობენ სტუდენტი ყაჩაღებს მოუკლავთ, რადგან მამიდან მის გამოსასყიდათ დაპირებული ფული არ მიუღიათ.

**რიგა.** დღეს 10,000 მუშა გაიფიცა.

**რიგა.** რეალურ სასწავლებელში ყუმბარა გადაისროლეს. ერთი მოსწავლე მძიმეთ დაიჭრა, ბევრი მსუბუქათ.

**ბელასტოკი.** ფაბრიკანტ რისტრის კაბინეტში ყუმბარა შეაგდეს. ოთახის მოწყობილობა დაიმტვრა, არავინ დაშავებულა. ბოროტგამზრახველებმა სროლა ასტეხეს და მიიმალენ.

**ტომსკი.** სახელმწიფო სათათბიროს ამრჩეველთა არჩევნები დანიშნულია 7 მაისს.— ნოვონიკოლაევსკში მოკლეს გოროდოვოი. მკვლელი მიიმალა,

**პეტერბურგი.** სად იმყოფება გაპონი საიდუმლო პოლიციას ვერას გზით ვერ გაუგია. ფიქრობენ, რომ ის ცოცხალია და ეხლა ფინლიანდიაშია.—ნამდვილი წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღესასწაულის გეგმას 23 აპრილს განიხილავენ და მეორე დღეს გამოაცხადებენ. დღესასწაულის პროგრამა ძალზე შეუმოკლებიათ.—შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე უკანასკნელ დროს აუარებელი თხოვნები მოდის იმ პირთაგან, რომლებსაც პოლიტიკურ დანაშაულობისათვის შორეულ აღმოსავლეთის ციმბირში გადასახლება აქვთ გადაწყვეტილი და თხოულობენ სამხრეთ გუბერნიებში გაგზავნას. პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებით ბევრს მათგანს ციმბირის მაგიერ არხანგელის გუბერნიაში გზავნიან.—პეტერბურგში ჩამოსულ სახელმწიფო სათათბიროს წევრებათ არჩეულმა გლეხებმა თხოვნით მიმართეს ზოგიერთ პარლამენტის უფლებების მცოდნე ლექტორებს წაუკითხონ მათ ლექცია დასავლეთ ევროპის პარლამენტისა და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ხელშეუხებლობის შესახებ. ლექტორები დათანხმდენ.

**პეტერბურგი.** სადამოწმო გადასახადის დეპარტამენტი, პოლიციის დეპარტამენტის თანახმათ აცხადებს, რომ თოფებისა და რევოლვერების გატანა დამოკიდებულია, უკეთუ ჯარის შესაიარაღებლათ არ არის ის, აფიცრებს მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით შეუძლიათ.

**მოსკოვი.** დაატუსაღეს სტუდენტი მატვეევი, რომელსაც მრავალი პროკლამაცია აღმოაჩნდა, სადაც სტუდენტებს იწვევენ მოითხოვონ უნივერსიტეტების გახსნა პოლიტიკურ ბრძოლისათვის.

**პეტერბურგი.** ზოგიერთი გაზეთები დანამდვილებით ამბობენ, რომ ვიტე სამსახურიდან გადადგა. ზოგი ამბობს, ვიტე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნებაო, ზოგიც—ისევ სოლსკი დარჩებაო. ვიტეს მოადგილეთ კოკოვცევს, გორემიკინს და მურავიოვს ასახელებენ, ამბობენ, რომ დანარჩენი მინისტრები თავთავიანთ ადგილზე დარჩებიან.

**ასკოვი.** სასამართლომ განიხილა 12 პოლიტიკური საქმე. ბევრი გაამართლეს. ფოსტის მოხელეს, რომელმაც გაფიცვის გულისთვის მეეტლის სიკვდილი განიზრახა 4 წლის ციხე გადაუწყვიტეს.

**ჟიტომირი.** პოლიციის ოფიცერს თავს დაესხა დარაჯი და დასჭრა.

**ნოვოჩერკასკი** სოფ. ალიტუბსკში დაიჭირეს ყალბი ფულების მჭრელი კუზნეცოვი.

**კოვნო.** თეატრის ახლო ყუმბარა გასკდა. არავინ დაშავებულა.

**ტომსკი.** ქუჩაში თავის მოყრის გამო გენერალ-გუბერნატორმა ოთხი კაცი ერთი თვით სატუსაღოში ჩასვა.

**კიევი.** დაბა ნიკოლაევში მღვდელს თავს დაესხნენ მძარცველები. მღვდელი ხანჯლით დასჭრეს და ნივთები წაიღეს. ეჭვით ორი გლეხი დაიჭირეს.

**ვარშავა.** რადგან პოლიტიკური ტუსაღები რევოლიუციონურ სიმღერებს მღეროდენ და პატრულის გაფრთხილებაზე არ გაჩერდენ, პატრულმა თოფი ესროლა. მოკლულია ერთი კაცი.

**პარიჟი.** შრომის ბირჟის ახლო შეტაკების დროს სულ 800 კაცი დაიჭირეს და კაზარმებში წაიყვანეს. იჭერენ ისეთებს, რომლებსაც ძალადობა უხმარიათ და იარაღი ქონდათ. დაჭერილებში ბევრი რუსები ურევია. საღამოზე შებანსკის ქუჩაზე დრაგუნები თავს დაესხა ბრბოს, რომელიც პოლიციელებს გარს შემორტყმოდა; ბევრი დაიჭრა. პარიჟმა საღამოს მოწყენილი სახე მიიღო, ქუჩები დაცარიელდა, მოძრაობა სრულიად შეწყდა.—პროვინციებში დემონსტრაციების მოხდენას პოლიციელებმა ხელი შეუშალა.

**ბერლინი.** სოციალდემოკრატები ბიულოვს შეეკითხენ რეიხსტაგში, რუსების გაძევების შესახებ. — ბერლინის კომერსანტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება შეაქვთ, რომლითაც ამბობენ თუ როგორ მტრულად უყურებენ გერმანიას რუსეთში რუსების გაძევების [illegible]

**ვენა.** 18 აპრილს მუშებმა დიდი მანიფესტაცია გამართეს.

**ბერლინი.** 18 აპრილს მთელი ქარხნები და ფაბრიკები გაიფიცა.

**ბრესტი.** 18 აპრილს მიტინგის შემდეგ მუშები წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით ქალაქისკენ გამართენ. თავს დაესხა პოლიცია და დროშები წაართვა. შეტაკების დროს ბევრი დაშავდა. ბევრი დაატუსაღეს.

**პარიჟი.** 17 აპრილი. მთელი დღის განმავლობაში 600 კაცი დაიჭირეს. 150-ს პოლიციელების საქმით და სიტყვით შეურაცხყოფას აბრალებენ. ამათში 70 რუსია. ისინი საფრანგეთიდან გააძევებენ. შეტაკების დროს დაიჭრა 13 პოლიციელი. საავადმყოფოში 60 კაცს შეუხვიეს ჭრილობა.

**ლიონი.** მანიფესტანტებმა ზოგან ტრამვაის ვაგონები გააჩერეს და ფანჯრები და ფანრები დაამტვრიეს. ხალხიდან რამდენიმე დაიჭრა. ცხენოსანმა რაზმმა მუშები გაფანტა. რამდენიმე მუშა დაიჭრა. ბევრი დაიჭირეს. მაღაზიები დაკეტილია.

**ლონდონი.** აქ დეპეშით იტყობინებიან, რომ ვიტეს მაგიერ გორემიკინს ნიშნავენო.

**პარიჟი.** გაიფიცა 1500 მხატვარი. ბევრი დაიჭირეს.

**სტოკჰოლმი.** სააქციონერო საზოგადოების დინამიტის ფაბრიკაში აფეთქება მოხდა. მოკლულია 4 მუშა. აფეთქების მიზეზი ვერ გაუგიათ.

**პარიჟი.** (1 მაისი). საღამოს ხუთ საათზე მანიფესტანტებმა გენტენორუას ქუჩაზე ბარიკადა გამართეს. დრაგუნებმა იერიში მიიტანეს. ბევრი დაიჭრა და ბევრიც აკრძალულ იარაღის ტარებისათვის დაატუსაღეს.

**ლონდონი.** გუშინ მოხდა საერთაშორისო დემონსტრაცია. 8000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. უწესოება არ მომხდარა.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„ა. რაბინოვიჩის“ საათის მაღაზიაში შვეიცარიიდან მიიღეს ვერცხლის საათები, რომელზედაც ემალით დახატულია ცნობილი ქართველი პოეტის **შოთა რუსთაველის** სურათი, (2—1)

---

**მიიღება ხელის მოწერა** სომხურ პოლიტიკურ, საზოგადო და საეკონომიო ახალ გაზეთზე

**„პ ა ი ლ“** (ნაპერწკალი),

რომელიც ჯერ-ჯერობით **გამოვა კვირაში ორჯელ**

სოლოლაკის ქუჩა, № 3

---

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**„ჯ ე ჯ ი ლ ი“**

წელიწადი მეხუთმეტე

1906 წელსაც გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი ღლეის იქით გამოვა უცენზუროთ და ეცდება დააკმაყოფილოს ახალი სკოლის მოთხოვნილება.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ. რედაქცია შეძლებისა და გვარად ხშირათ ჩაურთავს „ჯეჯილის“ ნომრებში ფერადი წამლებით ნახატებს.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარის წლით 3 მ. ცალკე ნომერი 50 კაპეიკი.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ (Дворцовая ул. возлѣ Кадетскаго Корпуса).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ Въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია წერეთლისა.

---

წიგნების გამომცემელთა საყურადღებოთ!

„ასოთ-ამწყობთა ამხანაგობა“

იღებს ყოველ-გვარ წიგნებს ასაწყობ-დასაბეჭდათ, სუფთათ და ჩქარა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თვითონ „ამხანაგობა“-ს დილის 9—12-მდე და საღამოს 2—6 საათამდე. კ. თავართქილაძის სტამბაში, ელისაბედის ქუჩა, № 17.